

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური

სამეცნიერო ჟურნალი

„Scripta manent“

საქართველო

№ 4 (48)

2020

ჟურნალი დაფუძნებულია
ღია დიპლომატიის ასოციაციის მიერ



GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

Multilingual Reviewing International Scientific Magazine
Международный рецензионный мультилингвальный научный журнал

„Scripta manent“

GEORGIA

ГРУЗИЯ

№4 (48)

2020

OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION

АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

ISSN 1987-7390
UDK (უაკ) 81+82
S-41

სარედაქციო კოლეგია:

მაია ჩხეიძე

მთავარი რედაქტორი

რუსუდან თაბუკაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ია ჩიქვინიძე

პასუხისმგებელი მდივანი

რედაქციის წევრები:

ვიტა ჟურცელაძე, ჰანს რუდოლფ ფლუპი, კულაშუ ხეიბიტოვა, სილვია ბოტეა,
ტანია ბრისჰამერი, ქეთევან გაბუნია, მარია მიხაილოვა, ტატიანა მებრელიშვილი,
ალბა ბრანციანო, ალესანდრა სკადავორა, გიორგი ყუფარაძე,
რუსუდან ბოცინიძე.

მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. №77, კორპუსი VI, სართული VIII
E-mail. : r. tabukashvili@gmail. com

ტექნიკური უზრუნველყოფა: კარინა ხარაზიშვილი

E-mail. : k-kharazishvili@mail. ru

scripta.manentmagazine@gmail. com

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ღია დიბლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე:
[www. odageorgia.ge](http://www.odageorgia.ge)

Editorial Board:

Maia Chkheidze, Viola Purtseladze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze, Hans Rudiger Fluck,
Kulpash Beibitova, Tania Grieskhammer, Ketevan Gabunia, Maria Mikhailova,
Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano, Alessandra Spadafora, Georgi Kuparadze, Rusudan Gotsiridze.

Address: Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia
Tel. : (995 32) 236 51 76
E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Electronic version: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

Редакционная коллегия:

Майя Чхеидзе, Виола Пурцеладзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе, Ганс Рудигер Флук,
Кульпаш Бейбитова, Таня Грисхаммер, Кетеван Габуня, Мария Михайлова,
Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили, Альба Грациано, Алессандра Спадафора, Георгий Купарадзе,
Русудан Гоциридзе.

Адрес: Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел. : (995 32) 236 51 76
E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Электронная версия: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

რედაქციისაბან

„Scripta manent“ საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგუური სამეცნიერო ჟურნალია, რომელიც აქვეყნებს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვეობაზე დაფუძნებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებს. ამას გარდა, იგი ადგილს უთმობს რეცენზიებს, თარგმანებსა და სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით ნაშრომს.

პროფესიონალთა ნაშრომების გამოქვეყნების გარდა ჟურნალი მიზნად ისახავს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პოპულარიზაციას მომავალ თაობებში. ჟურნალის რედაქლეგია განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით ეკიდება დოქტორანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომებს.

ჟურნალი რეცენზირებადია, უარყოფითი რეცენზიით ნაშრომი ავტორს არ უბრუნდება. ჟურნალის სამუშაო ენებია: ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და იტალიური.

სარედაქციო კოლეგიის წევრები მოღვაწეობენ საქართველოს (თბილისი), გერმანიის (ბოხუმი, ბერლინი), რუსეთის (მოსკოვი), ყაზახეთის (ასტანა), ბულგარეთის (სოფია) და იტალიის (ტუშა) უნივერსიტეტებში.

სარჩევი

ფილოლოგია

ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია ფრანგული ენის ბელგიური ვარიანტის თავისებურებანი.....	10
ნანა გუნცაძე დაკარგული მარადისობის ძიებაში (ნ. ბარათაშვილიდან ა. რემბომდე).....	14
რუსუდან გოცირიძე მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა – სამომავლო განათლების ძირითადი ტენდენცია.....	20
რუსუდან თაბუკაშვილი იურიდიული ტერმინოლოგიური კოლოკაცია (გერმანული ენის მასალაზე).....	24
როლანდ შავაძე საკლასო დისკურსის ასიმეტრიული თავისებურებები.....	32
თათია ჩირაძე კონცეპტის „ოცნება“ ღირებულებითი მნიშვნელობა და კონცეპტის რეპრეზენტაცია ინგლისური ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემასა და დისკურსში.....	40
თათია ჩირაძე აქსიოლოგიური გადახრა სემანტიკაში.....	46
ბელა ხაბეიშვილი სპეციფიური მიზნობრივი ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგიის ინტეგრაცია საუნივერსიტეტო სწავლების საფეხურზე.....	52

Contents

Philology

Tsiuri Akhvlediani, Ketevan Gabunia

Peculiarities of the Belgian variant of the French language 10

Nana Guntsadze

In Search of Lost Eternity (from N. Baratashvili to A. Rambo)..... 14

Rusudan Gotsiridze

Lifelong Learning – the Main Trend of Future Education..... 20

Rusudan Tabukashvili

Collocation of Law Terminology (on the material of German language) 24

Roland Shavadze

Asymmetrical Peculiarities of Classroom Discourse..... 32

Tatia Chiradze

The Value of the Concept “Dream” and the Representation of the Concept in the
Lexical-Semantic System and Discourse of English Language 40

Tatia Chiradze

Axiological bias in Semantics..... 46

Bela Khabeishvili

Integration of French for Specific Objectives (FSO) methodology in university studies..... 52

Содержание

Филология

Циури Ахвледиани, Кетеван Габуня

Особенности бельгийского варианта французского языка 10

Нана Гунцадзе

В поисках потерянной вечности (от Бараташвили до Рембо) 14

Русудан Гоциридзе

Обучение на протяжении всей жизни – главный тренд будущего образования 20

Русудан Табукашвили

Юридическая терминологическая коллокация (на материале немецкого языка) 24

Роланд Шавадзе

Асимметрические своеобразия классного дискурса 32

Татия Чирадзе

Ценностное значение концепта „Мечта“ и репрезентация концепта в лексико-семантической системе и дискурсе английского языка 40

Татия Чирадзе

Аксиологическая склонность в семантике 46

Бела Хабеишвили

Интеграция методики изучения французского языка специального назначения на университетском уровне 52

ფილოლოგია

Philology

Филология

ფრანგული ენის ბელგიური ვარიანტის თავისებურებანი

ციური ახვლედიანი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ. 599 508 607
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

ქეთევან გაბუნია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 599 201 099
E-mail: keti_gabunia@yahoo.com

რეზიუმე

თანამედროვე ლინგვისტიკა ხშირად მიმართავს ენათა ვარიანტების საკითხს სხვადასხვა ტერიტორიებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფრანგული ენის სახესხვაობებს საფრანგეთის საზღვრებს გარეთ. ფრანგული ენის ვარიანტები უნიკალურია თითოეულ შესასწავლ ტერიტორიაზე. წინამდებარე სტატიაში, წარმოდგენილია ფრანგული ენის ბელგიური ვარიანტი ვალონია-ბრიუსელის (ბელგია) ფრანგულენოვან არეალში.

საკვანძო სიტყვები:

იდენტურობა, ენის ვარიანტი, ბელგიციზმი, სოციოლინგვისტიკა.

შესავალი

ბოლო ათწლეულებში, ლინგვისტიკური სამყარო აკვირდება იმ რეგიონალურ მოძრაობებს, რომლებიც ხდება მრავალ ქვეყანაში, ენობრივ და კულტურულ თავისებურებათა დაცვის მიზნით, გლობალიზაციის

პროცესთა ფონზე. ამიტომაც, შემთხვევითი არაა მკვლევართა მზარდი ინტერესი ენათა სივრცითი ვარიანტების მიმართ. განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს ბელგიის ფრანგულენოვანი არეალი, კერძოდ, ვალონია და ბრიუსელი.

ძირითადი ნაწილი

ბელგიის ტერიტორია, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, სხვადასხვა სახელმწიფოს კუთვნილება იყო და დამოუკიდებლობა მოიპოვა 1830 წელს. ბელგიის სამეფოს ტერიტორიაზე, ფრანგულმა ენამ განიცადა კონტამინაცია შემდეგ ენებთან და დიალექტებთან: ნიდერლანდურ ენასთან/ვლამანდურ დიალექტთან (მაგ., სიტყვები **brol** 'უწესრიგობა', **platekees** 'ხაჭო', **zwanze** 'ტიპიური ბრიუსელური ხუმრობა' **crolle** 'კულელი', **kermesse** 'სახალხო დღესასწაული', **bourgmestre** 'ბურგომისტრი, მერი'); გერმანულ ენასთან (**ring** 'წრიული ბულვარი', **froebienne** 'აღმზრდელი ქალი'); ესპანურ ენასთან (**bodega** 'სასმელების ფარდული'); ინგლისურ ენასთან (**fancy-fair** 'საქველმოქმედო ბაზრობა', **full time** 'სრული სამუშაო დღე', **goal** 'მიზანი', **half** 'ნახევარი'); ასევე ვალონურ, პიკარდულ, ლოტარინგიულ და შამპანურ დიალექტებთან.

ფრანკობელგიურ თავისებურებათა აღსანიშნად, მკვლევარები იყენებენ ტერმინს « ბელგიციზმები », რომელიც პირველად გამოიხსნა 1811 წელს. 2016 წელს, შედგენილ იქნა « ბელგიციზმთა » გავრცელების სფეროს 24 რუქა. ეს რუქები საშუალებას იძლევა, რომ ვიკვლიოთ სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულ-

თა გამოყენების ინტენსიურობა; მაგალითად, შესაბამისი სიტყვის პოვნა « ავტომობილის გამოსახულებისათვის »; ვარიანტებად მოცემულია: **gaiöle, cage, caisse, voiture**. **Gaiöle** (არს. სახელი, მდედრ. სქ.) მომდინარეობს ლათინური **caveola** –დან (**cava** –ს კინობითი ფორმა) და აღნიშნულია ვალონურ დიალექტში **gaiöle/gayöle**, მნიშვნელობით « გალია »; **cage** –სა (არს. სახ., მდედრ. სქ.) და **caisse** –ის (არს. სახ., მდედრ. სქ.) ფორმები გამოიყენება **voiture** –ის ('მანქანა') მნიშვნელობით ბელგიის ტერიტორიაზე.

ფრანგული ლექსემები შეინიშნება ყველგან, მაგრამ სხვადასხვა ინტენსივობით: **café** – 'კაფე', **bistrot** – 'ბისტრო, სასაუზმე' – დიდი ინტენსივობით გვხვდება; **voiture** – 'მანქანა', **egratignure** – 'ნაკაწრი, ნახსაპნი', **sans valeur** – 'ღირებულების არმქონე' კი – მცირე ინტენსივობით გვხვდება. « ბელგიციზმთა » ყველაზე მეტი ინტენსივობაა – ბრიუსელში, ყველაზე მცირე კი – ბელგიურ პროვინცია ლუქსემბურგში, რაც მიუთითებს ამ ტერიტორიის კონსერვატიულობაზე.

საინტერესოა სოციოლინგვისტური სიტუაციის განსაზღვრა ბელგიის ფრანგულენოვან ნაწილში, რაც გულისხმობს ენობრივი სიმტკიცეობა/არასიმტკიცეობის დონის განსაზღვრას. ლინგვისტური სიმტკიცე – ეს არის საკუთარი დაცულობის გრძობა, ენის ნორმის გააზრება, დარწმუნება საკუთარი გამონათქვამის სისწორეში და გაცნობიერებული გადახვევა ენის ნორმიდან მეტყველების სტილისტური შეფერილობის მიზნით. არასიმტკიცეობა კი არის ის სიტუაცია, რომლის დროსაც მოლაპარაკეები მიიჩნევენ თავიანთ მეტყველებას ნორმის მიმართ დაუშვებლად, რაც იწვევს განგაშს ენისა და მისი ვარიანტის გამოყენებაში. ენობრივი სიმტკიცეობა/არასიმტკიცეობის ფაქტორი ისტორიულად ცვალებადია. იგი წარმოადგენს იდენტურობის მაჩვენებელს და გააჩნია ორი ასპექტი: 1. ენობრივ ფორმათა ვარია-

ციულობის გაცნობიერება მოლაპარაკის მიერ; 2. საკუთარი მეტყველების შეფასება (როგორც განსხვავებული ან თანაბარსტატუსიანი) ფრანგული ნიშნის მიმართ.

ლექსიკური ერთეულის – ბელგიციზმის - გამოყენება უკავშირდება განსხვავებულ სოციალურ ფენას, განათლების დონეს, პროფესიას, ასაკს, მეტყველების სტილს და მოლაპარაკის განზრახვას: “**Le «cheveux crolés» que je comprends bien et que j’ai utilisé dans mon enfance dans le hainaut mais que je n’utilise plus maintenant, sauf peut être avec des amis proches de ma région d’origine**” ('ხვეულ თმებს [ამ გამონათქვამს - ბელგიციზმს], კარგად მესმის, რომ ვიყენებდი ბავშვობაში ენაში, მაგრამ ახლა არ ვიყენებ მას, ვიყენებ მხოლოდ ჩემი მშობლიური რეგიონის ახლო მეგობრებთან'); “**On ne dit pas «j’ai planté ma caisse/la bagnole» à son patron, mais: «j’ai eu un accident de voiture»**” ('კი არ ვეუბნებით ჩვენს უფროსს « დავამტკრიე ჩემი ურემი » [ბელგიციზმია], არამედ ვეუბნებით « მოყვევი საავტომობილო ავარიაში »).

ფრანგულენოვანი ბელგიელები, ძირითადად, მიჯაჭვულნი არიან თავიანთ მეტყველებას, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს არის მათი იდენტურობის მარკერი: “**Et je mets donc un point d’honneur à sortir toute mon armée de belgicisms quand je suis au contact de Français: à tantôt au lieu de «à tout à l’heure»**” ('ღირსების საქმედ მიმაჩნია, რომ დავუშინო ჩემი ბელგიციზმების არტილერია, როდესაც ფრანგთან მაქვს საქმე: « მალე შეხვედრამდის » მიზნით ვიყენებ გამონათქვამს *à tantôt* –ს [ბელგიციზმია] ნაცვლად *à tout à l’heure* –სა’).

მნიშვნელოვანია, რომ ირონია შეიძლება ემსახურებოდეს საკუთარი არადარწმუნებულობის გრძობის შენიღბვას, ენობრივი არასრულყოფილების კომპლექსს; თვით-ირონია წარმოადგენს საკუთარი მეტყველებისადმი მშვიდი დამოკიდებულებისა და მის თავისებურებათა გაცნობიერების

მანიშნებელს: “Un Wallon un peu cultivé sait qu’il devra changer sa manière de parler pour ne pas être moqué par un Français pointant l’accent belge” (‘მცირედ განათლებულმა ვალონელ-მაც კი იცის, რომ უნდა შეცვალოს თავისი მეტყველება, რომ არ გახდეს იმ ფრანგის დაცინვის ობიექტი, რომელიც დასციინის ბელგიურ აქცენტს’); “«Caberdouche» – je l’ai déjà entendu ou lu mais pas fréquemment et personnellement je ne l’utilise jamais (sauf peut-être pour rire)” (‘ »კაფე-სამიკიტნო » - ეს სიტყვა უკვე გაგონილი თუ წაკითხული მაქვს, მაგრამ პირადად მე იშვიათად ვიყენებ მას [აღბათ მხოლოდ ხუმრობისას]).

დასკვნა

ამგვარად, ფრანგული ენის ვარიანტთა შესწავლა შეიძლება სამი საშუალებით – ლინგვისტურით, სოციოლინგვისტურით და ლინგვოგეოგრაფიულით. მულტიდისციპლინარული მიდგომის გამოყენებით, ფრანკოფონიის ენობრივი სურათი, სხვადასხვა ტერიტორიებზე, წარმოდგენილია საკმაოდ სრულად და შესაძლებელია ამა თუ იმ ტერიტორიაზე ენობრივ პროცესთა დინამიკაზე დაკვირვება.

ლიტერატურა

1. Lebouc G. (2006): Dictionnaire de belgicisms. Bruxelles
2. Загряжкина Т. Ю. (2015): Франция и франкофония: язык, общество, культура. Москва

Peculiarities of the Belgian variant of the French language

Tsiuri Akhvlediani

Tbilisi State University

Humanitarian science faculty

36 Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel.: 599 508 607

E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

Ketevan Gabunia

Tbilisi State University

Humanitarian science faculty

36 Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel.: 599 201 099

E-mail: keti_gabunia@yahoo.com

Abstract

Modern linguistics often addresses the issue of language variation in different areas. Particular attention is paid to French language variations outside France. French language options are unique to each study area. This article presents the Belgian version of the French language in the French-speaking area of Wallonia-Brussels (Belgium).

Keywords:

Identity, Language variant, Belgicism, Sociolinguistics.

Особенности бельгийского варианта французского языка

Ахведиани Циური Александровна

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия

Тел.: 599 508 607

E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

Габуня Кетеван Учаевна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр.И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 599 201 099
E-mail: keti_gabunia@yahoo.com

Резюме

Современная лингвистика все чаще обращается к вопросу варьирования языков на различных территориях. Особое место отводится разновидностям французского языка за пределами Франции. Варианты французского языка уникальны на каждой изучаемой территории. В данной статье представлен бельгийский вариант французского языка в разорванном франкоязычном ареале Валлония-Брюссель (Бельгия).

Ключевые слова:

идентичность, вариант языка, бельгицизм, социолингвистика.

დაკარგული მარადისობის ძიებაში (ნ. ბარათაშვილიდან ა. რემბომდე)

ნანა გუნტაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 593 646 000
E-mail : nana_guntsadze@yahoo.fr

რეზიუმე

სტატიაში ვეხებით ფრანგული რომანტიზმის ძირითად ასპექტებს, სადაც განსაკუთრებული ადგილი უკავია არა ლიტერატურულ დოქტრინებს, არამედ იმ დიდ ინტელექტუალურ წარმოსახვით და ემოციურ თემებს, რომლითაც ის საზრდოობს. ქართული რომანტიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ნიკოლოზ ბარათაშვილი ფრანგული რომანტიზმის ამ ტენდენციის გამგრძელებელია.

ფრანგი რომანტიკოსის ლამარტინის „პოეტურმა მედიტაციებმა“, რასაც მოჰყვა პიუგოს და ვინის კრებულები, თავდაყირა დააყენა პოეტის იმიჯი, ახლებურად გამოკვეთა მისი როლი საზოგადოების წინაშე: იყოს გიდი თავისუფლების იდეალისაკენ სვლაში.

როგორც ფრანგი რომანტიკოსების ლამარტინის, პიუგოს, ასევე ნ. ბარათაშვილის პოეზიასაც ახასიათებს პოეტის "მე"-ს ყველგანმყოფობა. „სული ობოლის ავტორი“, ლაპარაკობს პირველ პირში, უზიარებს მკითხველს თავის ინტიმურ გრძნობებს, ჰყვება თავის სუბიექტურ თავგადასავალს. მისთვის პოეზია იქცა მე-ს გამოხატვის ადგილად. ეს ყველგანმყოფობა ხელს უწყობს ბარათაშვილის პოეზიაში ლირიკული რეგისტრის გაძლიერებას.

საკვანძო სიტყვები:

რომანტიზმი, დრო, მარადისობა, ექსტაზი, სიყვარული, მარტოობა, ბუნება, ლირიკა, ცვალებადობა, წარმოსახვა.

შესავალი

ამა თუ იმ ქვეყნის პოეზიის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მისი ინტერკულტურული კონტექსტის გათვალისწინებას; თუკი გვსურს, განვსაზღვროთ ის უზარმაზარი წვლილი, რომელიც შეაქვს ცალკეულ ეროვნულ ლიტერატურას კონტრასტებით სავსე ლიტერატურის მსოფლიო ფონდში, ამ თვალსაზრისით, საჭიროა ლიტერატურათა შედარება (ამ შემთხვევაში ქართული ლიტერატურის უცხოურთან შედარება), რაც წარმოადგენს მომზადებას კომპარატივული ლიტერატურის შექმნისათვის. მე-18, მე-19 სს. ფრანგული სამყარო ისეთივე რეალობაა, როგორც მე-20 21-ე სს. ანგლო-ამერიკული სამყარო. ბუნებრივია, იმ მძიმე პირობებში, რაც რუსულმა ოკუპაციამ საქართველოში საგანმანათლებლო კულტურის განვითარებას შეუქმნა, თავისუფლების ფრანგული სულის, საფრანგეთის რევოლუციური იდეების, ნაპოლეონის და მასთან დაკავშირებული ენერჯის კულტის, ისევე როგორც ფრანგი განმანათლებლების ფილოსოფიის სიღრმისეული გააზრების გარეშე ძნელი წარმოსადგენია ისეთი მაშტაბის ნამდვილი ევროპელი მოაზროვნის პოეზიის გაელევა, როგორცაა ნ. ბარათაშვილი.

ამ უმთავრესი ევროპული პრინციპებისადმი, მეტადრე, თავისუფლების იდეისადმი ერთგულებაა ბარათაშვილის ლირიკული შედეგების და მისი ბრწყინვალე პოემის „ბედი ქართლისა“-ს მთავარი ძარღვი.

ამდენად სავსებით ლოგიკურია, რომ მე-19 ს-ის გენიალური პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის, როგორც ევროპული აზროვნების ფენომენის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ფრანგულმა ლიტერატურამ, განმანათლებლების ფილოსოფიამ და ზოგადად ფრანგულმა კულტურამ.

ძირითადი ნაწილი

ფრანგების რომანტიკული სული ერთ-ერთი უმთავრესია, რამაც განაპირობა რჩეულ ქართველ პოეტთა და უპირველეს ყოვლისა, ნ. ბარათაშვილის შემოქმედების სიახლოვე ამავ ეპოქის ევროპულ სულთან, რომელიც მანამდე შთაბერილი იყო რუსოში, დიდროში, ხოლო რომანტიზმის პერიოდში, მაღამ დე სტალში, ბენჟამენ კონსტანში. ტრანსფორმაცია, რომელიც ამ ეპოქაში საფრანგეთში განიცადა რელიგიურმა და ფილოსოფიურმა კონცეფციებმა, სოციალურმა იდეებმა, გემოვნებამ, და მგრძობელობამ, მოწმობს იმას, რომ ევროპელმა ადამიანმა გლობალურად შეიცვალა აზრი საკუთარ თავზეც და მის დამოკიდებულებაზეც სამყაროსთან; სწორედ ამ ცვლილების ასახვას წარმოადგენს ფრანგი რომანტიკოსების შემოქმედება.

უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგულ რომანტიზმში ლიტერატურული დოქტრინები არ იყო ძირითადი და მნიშვნელოვანი, არამედ ის დიდი ინტელექტუალური წარმოსახვითი და ემოციური თემები, რომლითაც ის საზრდობდა. ნიკოლოზ ბარათაშვილი სწორედ ფრანგული რომანტიზმის ამ ხაზის გამგრძელებელია.

როგორც ფრანგი რომანტიკოსების ლამარტინის, ჰიუგოს, ასევე ნ. ბარათაშვილის პოეზიასაც ახასიათებს პოეტის "მე"-ს ყველგანმყოფობა. „სული ობოლის ავტორი“ ლაპარაკობს პირველ პირში, უზიარებს მკითხველს თავის ინტიმურ გრძობებს, ჰყვება თავის სუბიექტურ თავგადასავალს. მისთვის პოეზია იქცა მე-ს გამოხატვის ადგილად. ეს ყველგანმყოფობა ხელს უწყობს ბარათაშვილის პოეზიაში ლირიკული რეგისტრის გაძლიერებას. ბარათაშვილის ლექსებში, ისევე როგორც ფრანგი პოეტის, ჰიუგოს პოეზიაში, გადმოცემულია პოეტის სულიერი მარტოობით გამოწვეული წუხილი, ცხოვრების დანაპირების შეუსრულებლობით განცდილი იმედგაცრუება და ბედის სამდურავი:

„ამას უქადლი ჩემს ცხოვრებას,
გმაწვილკაცობას?
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად
თავისუფლებას,
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა
გარდამიქცევდი!“
მარჯვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლეს, აღმირიე, წრფელნი ზრახვანი?
სად ხარ, აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმაღები,
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?“
სული ბოროტო, 1843 წ.

ზუსტად ასევე ვ. ჰიუგოც თავის „ხილვების“ ერთ-ერთ ლირიკულ შედევრში, ლექსში *Paroles sur la dune*, პირველ პირში გამოხატავს ცხოვრებით იმედგაცრუების, დროის წარმატლობით და ამოების განცდით გამოწვეულ მძაფრ სულიერ კრიზისს,

«donc s'en sont allés mes jours
évanouis? Est-il quelqu'un qui me connaisse?
Ai-je encor quelque chose en mes yeux éblouis,
De la clarté de ma jeunesse?
Tout s'est-il envolé? Je suis seul, je suis las;
J'appelle sans qu'on me réponde;
Ô vents! ô flots! ne suis-je aussi qu'un souffle, hélas!
Hélas ! ne suis-je aussi qu'une onde? »

Paroles sur la dune, 1856

ძნელია ამ ორ ლექსს შორის არ დაინახო მსგავსება განწყობაში და ტონალობაში: იგივე სევდიანი ტონი, იგივე მარტოობის მწვავე განცდა, ცხოვრების დანაპირებით განცდილი იმედგაცრუება და კითხვები ადამიანურ მდგომარეობაზე.

ჰიუგოც, ისევე როგორც ბარათაშვილი, აქ წარმოდგენილი ლექსების სუბიექტი და ადრესატია და თავის გულწრფელ განცდებს უზიარებს მკითხველს: „ბარათაშვილის ლირიკა ისევე როგორც ჰიუგოსი, მაქსიმალურად სუბიექტური და ინდივიდუალიზებულია. პოეტის სულიერი სამყარო აქ ზედმიწევნით მკვეთრად და უშუალოდ, ყოველგვარი ვუაღ-

ირების გარეშე, აბსოლუტურად შეუნიღბავი სახით წარმოდგება [ვასაძე 2018].

ევროპული აზროვნება არის აზროვნება, რომელიც იცვლება და რაც მთავარია გაიაზრებს ამ ცვლილების მნიშვნელობას, ხოლო ერთ-ერთი ასეთი ცვლილება, ერთ-ერთი სიახლე არის მოძრაობა, განვითარება, რომელიც ბარათაშვილის აზროვნებაშიც ისეთივე მთავარ ღირებულებად იქცა, როგორც ფრანგ რომანტიკოსებთან. ეს ცვლილება დროსთან დამოკიდებულებას შეეხო. ფრანგ რომანტიკოსებს მიაჩნიათ, რომ მომწვედელი არიან ძალზე ვიწრო დროის საზღვრებს და მარადისობის შეცნობის სურვილს შორის, რომელიც შეესაბამება იმ განუსაზღვრელ მოთხოვნას, რომელსაც ისინი თავის თავში გრძნობენ.

რომანტიკოსისათვის ხანგრძლიობა, რომელიც პროპორციული იქნება აზროვნების და სურვილის განუსაზღვრელობის, იქმნება პირველ რიგში ექსტაზით, რომელიც სხვადასხვა გზით მიიღწევა (ბუნებასთან კონტაქტით, სიყვარულით). ამგვარი ექსტაზის მიღწევას ისინი ცდილობენ გრძნობადი ეგზალტაციით, რაც ფრანგი რომანტიკოსისათვის პირველ რიგში სიყვარულით მიიღწევა: „სიყვარული არის ნათელი მომენტი, რომელიც თითქოს დროს იმორჩილებს“ [ბ. კონსატანი, 1958: 125].

სიყვარულით განცდილი ექსტაზი ხდის შესაძლებლად რომანტიკოსი პოეტისათვის მარადისობის წვდომას.

ქართველ ნიკოლოზ ბარათაშვილს, ისევე როგორც ფრანგ ლამარტინს, ჰიუგოს, ვინის, ბოდლერს დროის უკვდავ წყაროსთან, მარადისობასთან ზიარების ბედნიერებას განაცდევინებს სატრფოსთან სულიერი ერთობა, რასაც ისინი ოცნებით ცისკენ, ამაღლებული სიყვარულით ეგზალტაციისკენ, ექსტატიური განცდისკენ მიჰყავს. რაკი „ამაოების და წარმავალობისგან თავის დახსნის გზად ბარათაშვილის პოეზიაში სიყვარული ისახება, ლექსში „არ უკიჟინო, სატრფო“ პოეტი სიყვარულს წარმოსახავს, როგორც უკვდავებასთან, მარადისობასთან და უსასრულო-

ბასთან ზიარების საშუალებას, აღნიშნავს თ. ვასაძე.

„არ უკიჟინო, სატრფო, შენსა მგოსანსა გულის-თქმა:

მოკვდავსა ენა

არ ძალ-უძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა?“

არ უკიჟინო, სატრფო, 1841 წ.

როგორც ბარათაშვილის ამ ლექსში, ასევე შ. ბოდლერის პოეტურ შედეგში „მშვენიერების ჰიმნი“, სატრფოს სილამაზით, სიყვარულით, გამოწვეული განწყობილება გადადის ყოველის შემძლე და ყოველისმომცველ სულიერ ენერგიაში, რაც პოეტს ეხმარება იმ სიმძიმის დაძლევაში, რომელსაც ბოროტების ზეობა აგრძნობინებს და მარადისობასთან ზიარების ბედნიერ წუთებს განაცდევინებს:

À la très bonne, à la très belle

Qui fait ma joie et ma santé,

À l'ange, à l'idole immortelle,

Salut en l'immortalité!

Hymne, 1857

ამ ლექსებში ცხადად ჩანს ის განსაკუთრებული პერსონალური სიახლოვე, რომელიც „მშვენიერების ჰიმნის“ ავტორს გააჩნია შორეული და მისთვის სრულიად უცნობი ქვეყნის, უკვე დიდი ხნის გარდაცვლილ პოეტთან, ნიკოლოზ ბარათაშვილთან.

სიყვარულში განცდილი მარცხის შემდეგ, დროის წარმავალობისგან თავის დახსნის, მარადისობასთან ზიარების საშუალებად ბარათაშვილს ბუნებასთან კავშირით მიღწეული შემოქმედებითი ექსტაზის მომენტი ესახება, რასაც ვხდებით მის ლექსში „ცისა ფერს“.

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,

პირველად ქმნილსა ფერს

და არ ამ ქვეყნიერს,

სიყრმიდგან ვეტრფოლი.

1841 წ. 24 წლის ასაკში

გასაოცარია, რომ ნ. ბარათაშვილის ამ განცდას მიეყვართ პოეტთან, რომელიც ლეგენდამ ხან მოწამედ აქცია, ხან დაცემულ ანგელოზად, ხან იარაღით მოვაჭრედ, ხან ნათელმხილველად; ესაა ა. რემბო, მარად ჭაბუკი პოეტი, ნამდვილი გენიოსი, რომელმაც თავისი ლექსები და პოეტური პროზა 16-დან 22 წლამდე შექმნა. პოეტი რემბო ხომ 22 წლის ასაკში გარდაიცვლება, კომერსანტი რემბო - 37 წლის ასაკში.

და მაინც, რატომ რემბოსთან? გასაოცარია, რომ 24 წლის ბარათაშვილის 1841 წ. შექმნილი „ცისა ფერს“ უნებურად აღგვიძრავს ფიქრებს ჭაბუკი რემბოს მიერ დაწერილ ლექსის - „termit“ - შესახებ, რომელიც მან დაახლოებით 30 წლის შემდეგ, 1872 წ. 18 წლის ასაკში შექმნა.

ა. რემბოს, რომელიც გარკვეულ პრივილეგირებულ მომენტში ახერხებს გაექცეს დროს, შემოქმედებითი გასხივოსნება ეძლევა მაშინ, როცა ის ხედავს "მზესთან ერთად მიმავალ ზღვის" ხატს. ეს არის მარადისობის განცდა, რომელიც აქ არის და ახლავს მისაწვდომი, ამ პოეტური აღტკინების მომენტში.

Elle est retrouvée.
Quoi ? — L'Éternité.
C'est la mer allée
Avec le soleil
Âme sentinelle,
Murmurons l'aveu
De la nuit si nulle
Et du jour en feu.

„Eternité“. 1872 წ.

თუკი რემბოს უკიდევანო ზღვის სიღურჯე მარადისობას აზიარებს, ბარათაშვილს ანალოგიურ განცდას პოეტური აღტკინების მომენტში, უკიდევანო ცის სიღურჯე უქმნის:

ფიქრი მე სანატრი
მიმიწვევს ცისა ქედს,
რომ ეშხით დამდნარი

შევერთო ლურჯსა ფერს.

„ცისა ფერს“ 1841 წ.

ორივე შემთხვევაში პოეტის "მე" პოულობს დაკარგულ მარადისობას; რატომ დაკარგულს? მარადისობას შესაძლოა ჰქონდეს ან მითოლოგიური მნიშვნელობა ან თეოლოგიური. ბიბლიის მიხედვით, მთელმა კაცობრიობამ მარადისობა დაკარგა, მაშინ, როდესაც იგი გააძევეს სამოთხიდან. ამგვარად, პირველადი შეცოდების გამო ლირიკული სუბიექტისთვის (ზოგადად თანამედროვე ადამიანისთვის) მარადისობა ამქვეყნიურ ცხოვრებაში სამუდამოდაა დაკარგული. რაკი პოეტს არ სურს ამასთან შეგუება, ამიტომ მარადისობის წვდომა მას უნდა ახლა, ამ წუთში, ამ შემოქმედებითი ექსტაზის დროს.

რით არის გამოწვეული ამ შემთხვევაში როგორც ბარათაშვილისათვის, ასევე რემბოსათვის დაკარგული მარადისობის ზღვასთან ან ცასთან დაკავშირება? ამის მიზეზია ის, რომ ზღვასთან და ცასთან, მათი უკიდევანობის გამო ხდება უსასრულობის იდეის ასოცირება.

საინტერესოა, რითაა გამოწვეული ასეთი თანხვედრა ამ ორ პოეტს შორის, რომლებიც ერთმანეთისაგან დროსა და სივრცეში ასე დაშორებულნი არიან? უთუოდ მათი სულიერი ბიოგრაფიით, მათ მიერ წაკითხული ლიტერატურით, რაც ზოგადად პოეტის შემოქმედებით წარმოსახვას ასაზრდოებს. როგორც ბოდლერი აღნიშნავდა, ასეთი პარალელიზმები ბუნებაში შესაძლებელია. ეს არის ის სულიერი ნათესაობა, რომელიც ამ ორ, დროში და სივრცეში ასე დაშორებულ პოეტს ასე აახლოვებს ერთმანეთთან. არადა ნ. ბარათაშვილი დიდი ხნის გარდაცვილი იყო მაშინ, როდესაც ჭაბუკ რემბოს ანალოგიურმა განცდამ შეაქმნევინა ეს საოცარი სტრიქონები.

დასკვნა

ისევე, როგორც ბოდლერის და რემბოს, ასევე ჩვენ მიერ განხილულ ბარათაშვილის ლექსებში, ამოების და წარმავალობისგან თავის დახსნის გზად და მარადისობასთან ზიარების საშუალებად ჩნდება სიყვარული და ბუნებასთან კავშირით მიღწეული შემოქმედებითი ექსტაზის წუთები.

სულიერი ნათესაობის ახსნა, რომელიც დროსა და სივრცეში ასე დაშორებულ პოეტებს ასე აახლოვებს ერთმანეთთან, შესაძლებელია მათი სულიერი ბიოგრაფიით, მათ მიერ წაკითხული ლიტერატურით, რაც ზოგადად პოეტების შემოქმედებით წარმოსახვას ასახრდობს.

როგორც ბოდლერი აღნიშნავდა, ასეთი პარადღეიზმები ბუნებაში შესაძლებელია.

ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ნ. (1968): ბარათაშვილი ნ. თხზულებანი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,
2. ასათიანი გ. (1975): ნიკოლოზ ბარათაშვილი. გამომცემლობა: „ნაკადული“, თბილისი 1975.
3. Benichou P. (1992): *Romantisme français*, t I. Paris: Edition „Quarto Gallimard“
4. Darcos X. (2013): *Histoire de la littérature française*. Paris: Edition „Hachette“
5. Constant B. (1958): Edition „Robert Laffon“. Paris
6. Hugo V. (1968): *Poésie I*. Paris: Edition „Le classique de poche“. Paris
7. Beaudelaire Ch. (2009): *Œuvres complètes*. Gallimard
8. Rimbaud A. (2009): *Œuvres complètes*. Gallimard

9. Vassadzé T. (2018): *L'infini dans la poésie de Baratashvili*. PWN

In Search of Lost Eternity (from N. Baratashvili to A. Rambo)

Nana Guntsadze

Tbilisi State University

Faculty of Humanities

36 Chavchavadze av., 0179, Tbilisi Georgia

Tel. : 593 646 000

E-mail : nana_guntsadze@yahoo.fr

Abstract

The article deals with the main aspects of French Romanticism, in which a special place is occupied not by literary doctrines, but by great intellectual imagination and emotional themes.

The "Poetic Meditations" of French romanticist Lamartine, followed by the collections of Hugo and Vigny, turned the image of a poet upside down, outlining his role to the public in a new manner, which was a guide leading to the ideal of freedom.

Like French Romanticists Lamartine and Hugo, N. Baratashvili's poetry is also characterized by the omnipresence of the poet's "I". The author of "An Orphan Soul", speaks in the first person, shares his intimate feelings with the reader and speaks about his subjective adventures. For him, poetry has become a place for expressing himself. This ubiquity contributes to the strengthening of the lyrical register in Baratashvili's poetry.

Keywords:

Romanticism, time, eternity, ecstasy, love, loneliness, nature, lyrics, variability, imagination.

В поисках потерянной вечности (от Бараташвили до Рембо)

Гунцадзе Нана Петровна

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия

Тел. 593 646 000

E-mail: nana_guntsadze@yahoo.fr

Резюме

В статье рассматриваем основные аспекты французского романтизма, где особое место занимают не литературные доктрины, а большие интеллектуальные и эмотивные темы, чем питается романтизм. Самый значительный представитель грузинского романтизма Николоз Бараташвили является продлителем этой темы французского романтизма.

“Поэтические медитации” французского романтика Ламартина, после чего последовали сборники Гюго и Винна, совершенно перевернули имидж Поэта, по новому выразили его роль перед обществом: быть гидом на пути к идеалу свободы.

Как поэзию французских романтиков Гюго и Ламартина, так и поэзию Бараташвили характеризует вездесущность поэтического “Я”. Автор стихотворения “Душа-сирота” повествует в первом лице, разделяет с читателем свои интимные чувства, рассказывает свое субъективное приключение. Для него поэзия стала местом выражения собственного “Я”. Эта вездесущность усиливает лирический регистр в поэзии Бараташвили.

Ключевые слова:

романтизм, время, вечность, экстаз, любовь, одиночество, природа, лирика, переменность, видение.

Lifelong Learning - the Main Trend of Future Education

Rusudan Gotsiridze

Georgian Technical University

Department of Foreign Languages

77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.:593 301 342

E-mail: rusudangotsiridze@gmail.com

Abstract

Lifelong learning is a form of self-initiated education that is focused on personal development. While there is no standardized definition of lifelong learning, it has generally been taken to refer to the learning that occurs outside of a formal educational institute, such as a school, university or corporate training.

Lifelong learning can be thought of as learning, the duration of which is equal to that of a person's life. Lifelong learning implies that people need to keep learning, resume their lifelong learning, and not only through informal methods, which every citizen does anyway, but also by repeatedly getting formal education.

Keywords:

formal education, non-formal education, technological innovation, cognitivism, constructivism.

Introduction

In a rapidly changing world, even very good education may not be enough. The goal of education has changed and it is associated with a person's ability to adapt to constantly changing living conditions. Indeed, lifelong education is caused by the need to "keep up with the time", by the desire to be in demand in an existing professional and social environment. In addition, lifelong education is an important component of the interaction between science, economics and education.

Many devices, services and tools, without which it is difficult for us to imagine our present life, did

not exist some 15 years ago. What we'll use in ten years is very difficult to guess. But the time allotted to us for conscious life will acquire more and more value. As Daniel Laughlin of NASA put it, we should be preparing students for jobs that don't yet exist, using technologies that haven't been invented, in order to solve problems we don't even know are problems yet [National Aeronautics, 2008].

It is evident that to prepare our students for future novelties it is important to prepare them for developing the skill of lifelong learning.

Main Body

The first institute for lifelong learning was founded at the New School for Social Research in 1962 as an experiment in "retirement learning." Over the past fifty years, constant scientific and technological innovation and change has profoundly impacted the understanding of learning. Learning can be seen as something that happens on an ongoing basis as a result of our daily interactions with other people and with the world around us.

Lifelong Learning is described as a process that involves teaching people in different contexts. The environments include not only schools, but also homes, workplaces, and even places where people spend their leisure time. However, while the learning process can be applied to learners of all ages, the focus is on adults who are returning to organized learning.

Lifelong learning can be thought of as learning, the duration of which is equal to that of a person's life. Lifelong learning implies that people need to keep learning, resume their lifelong learning, and not only through informal methods, which every citizen does anyway, but also by repeatedly getting formal education. Along with this, people can also take part in non-formal education through training outside the

formal education sector: in workplaces, community centers, sports clubs, etc.

Two theories that are of particular relevance when considering lifelong learning, are cognitivism and constructivism. Cognitivism, especially Gestalt theory, speaks about learning as making sense of the relationship between old and new. In the same way, the theory of constructivism asserts that knowledge is not obtained passively from the world or from authoritative sources, but is constructed by individuals or groups who make sense of their experienced world. Constructivism is well suited for lifelong learning because it integrates learning from many different sources, including life experience [Wikipedia- last ed.2020].

The study of metacognition is being increasingly used to inform educators aimed at making students more aware of their learning processes and showing them how to regulate these processes. Learning to learn, that is, learning to recognize learning strategies and to monitor and evaluate learning, is a precondition for lifelong learning. Metacognition is an important first step in developing lifelong learning. [Wikipedia- last ed.2020]

The development of the lifelong education system is aimed at supporting the competent development of an individual, at the implementation of the concept of developing education. The competence-based approach in education creates all the necessary conditions for the versatile development of the personality, the formation of competencies and personal qualities that allow one to act effectively in various life situations. The concept of lifelong education is based on the principles of continuity, flexibility, rapid dynamics associated with changing needs in the labor market and education not for life, but throughout life [Концепция непрерывного образования, 2012].

A modern person should constantly strive to enrich his knowledge, develop skills, find various sources of information, i.e. engage in self-education.

Thus, the goal of lifelong education is not only to teach a person throughout his life, but also to ensure

that he learns himself [Пережовская А. Н. 2015].

The lifelong education system is aimed at implementing the following functions [Омарова А. 2011]:

- ensuring the adaptation of a person to the constantly changing conditions of not only professional activity, but also the social environment by providing opportunities for organizing an individual educational trajectory throughout his life;
- strengthening, uniting educational resources of society;
- the formation of educational social partnership as a component of civil society.

Based on what has been written, we can say that lifelong education is designed to establish closer ties with life, to pave new ways of development in the field of theory and teaching methods, to ensure the individualization of learning, to use new technologies, the most promising technical means. Lifelong education is not only characterized by certain structural features, functional connections and learning technologies, but it is also a specific component of the whole society. It becomes continuous, connected with life, and not simply final, prescribed to a person during his studies at school, college or university. The development of the lifelong education makes it possible to create all the necessary conditions to ensure the reaction of the education system to the dynamically changing needs of the individual, society, and the economy [Омарова А. 2011].

The ideas of society are changing, scientific knowledge is expanding, new views on the educational process, its goals, objectives, and opportunities arise. Life puts forward its own requirements:

- to develop a person's ability to quickly respond to all changes
- to show initiative
- to develop communication skills, etc.

The effectiveness and possibility of educational activities are determined by the relationships between the various stages of the innovation cycle, producers and consumers of services; firms, the market, the state and other social partners.

Conclusion

In conclusion, in order to prepare our students for acquiring lifelong learning skills, educational opportunities must develop their capacity for self-direction, meta-cognitive awareness and disposition toward lifelong learning. Several instructional features facilitate the development of meta-cognitive and self-directed learning skills, and the disposition to lifelong learning: student autonomy, responsibility and intentionality; intrinsically motivating learning activities; enculturation; discourse and collaboration among learners; reflection.

Lifelong learning presupposes the coverage of various aspects of a person's life by training, improving not only professional skills, but also other equally important, necessitated or simply interesting activities for him.

Self-motivation for learning implies that a person deliberately seeks to improve his level of knowledge, which will undoubtedly affect both his overall intellectual development and the ability to take a competitive position in the labor market.

Literature

1. 1. National Aeronautics and Space Administration. Goddard's Innovative Partnerships Program Office; Accomplishments 2008. Available online at http://ipp.gsfc.nasa.gov/downloads/accomp_reports/2008_ipp_accomp_report.pdf

2. Wikipedia- last ed.2020 Lifelong Learning https://ru.qaz.wiki/wiki/Lifelong_learning

3. Концепция непрерывного образования 2012,

https://ido.tsu.ru/other_res/ep/filosof_umk/text/t6_2.htm

4. Пережовская. А. Н.2015, Непрерывное образование,

<https://moluch.ru/conf/ped/archive/149/7617/>

5. Омарова, Алина. Актуальность получения непрерывного

www.mon-amina.livejournal.com

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა - სამომავლო განათლების ძირითადი ტენდენცია

რუსუდან გოცირიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უცხოურ ენათა დეპარტამენტი

კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,

საქართველო

ტელ.: 593 301 342

E-mail.: rusudangotsiridze@gmail.com

რეზიუმე

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა არის დამოუკიდებელი სწავლის ფორმა, რომელიც ორიენტირებულია პიროვნულ განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სტანდარტიზებული განმარტება, ზოგადად მას განიხილავენ როგორც სწავლას, რომელიც მიმდინარეობს ოფიციალური საგანმანათლებლო დაწესებულების გარეთ.

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა შეიძლება მივიჩნიოთ სწავლად, რომლის ხანგრძლივობა უთანაბრდება ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა გულისხმობს მუდმივ სწავლას, რომელიც მიმდინარეობს არა მხოლოდ არაოფიციალური გზით, რაც ყველა მოქალაქისთვის ჩვეული ქმედებაა, არამედ ოფიციალური განათლების განმეორებით მიღების გზითაც.

საკვანძო სიტყვები:

ოფიციალური განათლება, არაოფიციალური განათლება, ტექნოლოგიური ინოვაცია, კოგნიტივიზმი, კონსტრუქტივიზმი.

Обучение на протяжении всей жизни- главный тренд будущего образования

Гоциридзе Русудан Арчиловна

Грузинский Технический Университет

Департамент иностранных языков

Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия

Тел.: 593 301 342

E-mail: rusudangotsiridze@gmail.com

Резюме

Обучение на протяжении всей жизни - это форма самостоятельного учения, направленного на личностное развитие. Хотя стандартизованного определения обучения на протяжении всей жизни не существует, обычно оно относится к обучению, происходящему за пределами официального учебного заведения.

Обучение на протяжении всей жизни можно рассматривать как обучение, продолжительность которого равна продолжительности жизни человека. Обучение на протяжении всей жизни подразумевает, что людям необходимо продолжать обучение всегда, причем не только с помощью неофициальных методов, которые являются обычным мероприятием для всех граждан, но также путем многократного получения официального образования.

Ключевые слова:

официальное образование, неофициальное образование, технологические инновации, когнитивизм, конструктивизм.

იურიდიული ტერმინოლოგიური კოლოკაცია (გერმანული ენის მასალაზე)

რუსუდან თაბუკაშვილი
საქართველოს უნივერსიტეტი
ევროპული ენებისა და ფილოლოგიის
დეპარტამენტი
კოსტავას ქ. № 77ა, 0175, თბილისი,
საქართველო
ტელ: 593 512 484
E-mail: r.tabukashvili@gmail.com

რეზიუმე

ცნობილია, რომ ტერმინები არაერთ-გვაროვანი ლექსიკური ნომინაციებია და იგი შესაძლოა იყოს ცალკეული სიტყვა, სიტყვაშეთანხმება, კოლოკაცია, და წინადადებაც კი. ნაშრომში განვიხილეთ გერმანულ ენაში იურიდიული ტერმინოლოგიის კოლოკაციები, შევეცადეთ დაგვედგინა ტერმინოლოგიური კოლოკაციის სტატუსი ლინგვისტიკაში და ასევე გაგვეანალიზებინა აღნიშნული ენობრივი ერთეულების ძირითადი მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებები გერმანული ენის იურიდიული ტერმინოლოგიის მასალაზე.

საკვანძო სიტყვები:

კოლოკაცია, ტერმინი, იურიდიული ტერმინოლოგია, ტერმინოლოგიური კოლოკაცია, ფრაზეოლოგიური კოლოკაცია.

შესავალი

ტერმინოლოგიურ კოლოკაციებთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ ლინგვისტები ნაშრომებში კოლოკაციის ცნების მრავალ ინტერპრეტაციასა და მისი კვლევის განსხვავებულ მეთოდებსა და მიდგომებს გვთავაზობენ. შეინიშნება ლინგვისტური ტერმინების - ტერმინოლოგიური სიტყვა-

შეთანხმება, ტერმინოლოგიური კოლოკაცია, იდიომატური კოლოკაცია, ფრაზეოლოგია კოლოკაციაში და ა.შ. - მრავალფეროვნება. ლინგვისტურ ცნებათა სიჭრელე განისაზღვრება კვლევის ობიექტისა და ერთ კონკრეტულ ლინგვისტური მიმდინარეობის ჩარჩოებში მისი მოქცევის საკითხით, იმით, თუ რომელი კუთხიდან განიხილება იგი. ბევრი ავტორი განასხვავებს და მიჯნავს კოლოკაციასთან დაკავშირებული ტერმინებისა და ცნებების შინაარსს, ახდენს ტერმინთა ზოგად და კონკრეტულ ინტერპრეტაციას, ზოგი კი ცდილობს პარალელები მოძებნოს მათ შორის.

ძირითადი ნაწილი

ლინგვისტურ ლიტერატურაში იკვეთება ერთი მხრივ, ზოგადლინგვისტური კოლოკაციებისა, ხოლო მეორე მხრივ - ტერმინოლოგიური კოლოკაციების ინტერპრეტაციისა და აღნიშნულ ტერმინთა დაზუსტების კუთხით რამდენიმე ტენდენცია.

კოლოკაცია, როგორც ცნება, პირველად ჯონ რუპერტ ფირსმა გამოიყენა მოცემულ კონტექსტში ლექსემების მნიშვნელობის დასაზუსტებლად [Fihrt 1957].

ცნება კოლოკაცია ტექსტის ანალიზის ერთ-ერთ ძირითად ცნებად მიიჩნევა. კოლოკაცია ნიშნავს ორი ლექსემის უშუალო თანაარსებობას, გვერდიგვერდ პოზიურებას. კორპუსის ლინგვისტიკაში კოლოკაცია აღნიშნავს ყველაზე ხშირად გამოყენებულ, ლექსიკური ელემენტების (კორპუსში - ტოკენების) სტატისტიკურად დაანგარიშებად თანაარსებობას [თანდაშვილი].

კოლოკაცია ენობრივი სპეციფიკის ამსახველია და მისი პოზიურება ენაში განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა სემანტიკური თავსებადობა, ლოგიკური განპირობებულობა, ფრაზეოლოგიზმები და

სტერეოტიპები. არსებობს უნივერსალური კოლოკაციები, თუმცა ენები, როგორც წესი, ამ თვალსაზრისითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

კოლოკაციის ფენომენს ვალტერ პორცი-გი ისეთი ცნებების საშუალებით აღწერდა, როგორებიცაა არსობრივი შინაარსობრივი კავშირი და მნიშვნელობის (საერთო) სინტაქსური არე [Porzig 1934-73]. კოსერიუ კი მას ლექსიკურ სოლიდარობას უწოდებს [Coseriu 1967-1978].

ჰაუსმანისათვის კოლოკაცია ეს არის „bevorzugte Versprachlichungen bestimmter Sachverhalte, die nicht kreativ gebildet, sondern als „Halbfertigprodukte“ aus dem Gedächtnis abgerufen werden“ [Hausmann 1984:398].

ჰაუსმანი კოლოკაციას ნახევრად მზა პროდუქტს უწოდებს და მას კრეატიულ ენობრივ მოვლენად არ მიიჩნევს, რაც ნიშნავს, რომ კოლოკაციის კომპონენტები ნებისმიერობის პრინციპით არ შეირჩევა. კოლოკაციის მდგენელების ბმა/კავშირი აღიქმება როგორც ორი სიმბოლო, ორი ნიშანი, რომელთა მეზობლობა დამკვიდრებულია ამა თუ იმ ენაში. ამასთან ერთი კომპონენტი ბაზისია, ხოლო მეორე კოლოკატორი, რომელიც სემანტიკურად ბაზის სიტყვაზეა დამოკიდებული [Hausmann 1984:403].

ენების ინტრალინგვისტური შეპირისპირებითი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ სიტყვებს შორის მყარი ბმა-კავშირები, ანუ კოლოკაციები არბიტრალურია და იგი სამყაროს ენობრივი აღქმის პრობლემას უკავშირდება. (მაგ. გერმ. Zähne putzen - კბილების გაწმენდა, ფრანგ. se laver les dents - კბილების გარეცხვა; გერმ. den Tisch decken - მაგიდის გადაფარება, გადახურვა, დახურვა, Ing.to lay the Table - მაგიდის დადება, დაწყობა, ჩალაგება) [Hausmann 1984:403].

რედერის [2011b:63] მიხედვით, კოლოკაცია მყარი, მაგრამ არაიდომატური სიტყვაშეთანხმებაა, რომელიც გრამატიკასა (სინტაქსი) და ლექსიკას (სემანტიკა) შორის ძვეს.

ფრიდერიხი [1994:107] თვლის, რომ კოლოკაცია არც გრამატიკული და არც სემანტიკური და ასევე არც მორფოლოგიური წესებით არ რეგულირდება, რაც ნიშნავს, რომ კოლოკაცია მხოლოდ ენობრივი ნორმებით იმართება.

როგორც ბუჰოფერი აღნიშნავს, კოლოკაციები არ იქმნება სპონტანურად ზეპირი ან წერილობითი მეტყველების პროცესში, ისინი ურთიერთდამოკიდებული სინტაგმების სახით მოგვეწოდება. ამას შედეგად მოყვება ის, რომ ალტერნატიული, თავისუფლად კომბინირებული კონსტრუქციები აღიქმება როგორც ერთმანეთისთვის შეუფერებელი, წინააღმდეგობრივიც კი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი როგორც სემანტიკურად, ასევე სინტაქსურად სწორი ფორმებითაა წარმოდგენილი [Buhofer 2011: 506].

კოლოკაცია და იდიომა

ლინგვისტთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ კოლოკაციები თვალშისაცემია, იოლად ამოსაცნობია, მაგრამ არც თუ მარტივად პროგნოზირებადი. მათი იდიომატიურობა მათივე დეკოდირებისას ხდება თვალნათელი. [Hausmann 1995: 24; Schwalm 1991: 17; Hausmann 2007: 218].

იდიომატური გამოთქმები თავისი ფორმითა და შინაარსით ხატოვანი გამოთქმებია, და ისინი ლინგვო-კულტურული, ამათუ იმ ენობრივი კულტურისათვის დამახასიათებელი ხატოვანი დაუშლელი გამოთქმაა, კონკრეტული კულტურის პროდუქტია, რომლის არსი არ შედგება მისი ცალკეული მდგენელის მნიშვნელობების ჯამისაგან. იდიომატური გამოთქმისაგან განსხვავებით კი, კოლოკაცია, მით უფრო ტერმინოლოგიური კოლოკაცია დაცლილია მხატვრული კონოტაციისაგან და არაა განპირობებული ენის კულტურულ-ნაციონალური კონტექსტით.

ამ ინტერპრეტაციაში შესაძლებელია კოლოკაცია მოიაზრებოდეს იმ თვალსაზრისით, რომ, თუ კი ის ფორმით, ისევე რო-

გორც იდიომა, მყარი, დაუშლელი ფრაზაა და მისი მდგენელების ცალკეული მნიშვნელობები არ უდრის მის ერთიან შინაარსს, მაშინ იდიომა შეიძლება მივაკუთვნოთ ფრაზოლოგიურ კოლოკაციას.

ტერმინოლოგიური კოლოკაცია

ტერმინები, რომლებიც თავის მხრივ დარგობრივი ენის დომინანტი კომპონენტებია, დარგობრივ ტექსტებში ხშირად გვხვდება სხვა სიტყვებთან ერთად კომბინაციაში. ისინი სინტაგმატურ მიმართებაში არიან ერთმანეთთან, წარმოადგენენ პოლისტურ ერთეულებს და ამგვარად ქმნიან კოლოკაციებს.

ტერმინოლოგიური კოლოკაციები შედგება ელემენტებისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი გამოირჩევა მორფოსინტაქსური ან სემანტიკური თვისებით „მიიზიდოს“ სხვა ენობრივი ერთეული და შედეგად მოგვცეს კოლოკაცია.

ტერმინის სტატუსის მქონე ლექსემა შესაძლოა სინტაგმატურად დაუკავშირდეს სხვა ლექსემას, რომელიც ასევე შეიძლება იყოს ტერმინი. ზოგ შემთხვევაში ასეთ ტერმინოლოგიურ კავშირს შედგენილ ტერმინსაც უწოდებენ [Costa et al., 2004, p. 1530—1531].

სპეციალური ლიტერატურის მომიხილვამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთი ავტორი არ მიჯნავს მკვეთრად ერთმანეთისაგან ტერმინოლოგიურ სიტყვაშეთანხმებებს და ტერმინოლოგიურ კოლოკაციებს. ამ უკანასკნელებს ისინი უწოდებენ არაერთგვაროვან ტერმინებს, ტერმინების მსგავს სიტყვაშეთანხმებებს და ა.შ. ასეთი მიდგომა დამახასიათებელია ძირითადად კორპუსის ლინგვისტიკისათვის, რომლის ფარგლებშიც კვლევის დიდი ნაწილი პრაქტიკული ხასიათისაა და ამ ტიპის კვლევა უპირველეს ყოვლისა ეხება ტერმინოლოგიური შემადგენლობის ფორმირების პრინციპებისა და მეთოდების დამუშავების საკითხებს განსაზღვრული დარგობრივი ტექსტების მი-

ხედვით. [Castellvi et al., 2001].

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ტერმინოლოგიური კოლოკაციები უნდა განსხვავდებოდეს ტერმინოლოგიური სიტყვაშეთანხმებებისაგან ან შედგენილი ტერმინებისაგან. რ.კოსტა და რ.სილვა განასხვავებენ “multi-lexemic terminological units” (შედგენილი ტერმინები) და “terminological collocations” (ტერმინოლოგიური კოლოკაციები). ისინი თვლიან, რომ შედგენილი ტერმინები აღნიშნავენ და ასახელებენ ცნებებს ცოდნის განსაზღვრული სფეროებიდან, რომელსაც კონკრეტული პროფესიული წრის, სუბენის წარმომადგენლები გამოიყენებენ.

ტერმინოლოგიური კოლოკაციები, თავის მხრივ, შედგება ელემენტებისაგან, რომელთაგან ერთ-ერთს აქვს მორფოსინტაქსური და/ან სემანტიკური თვისება, „მიიზიდოს“ სხვა ელემენტები და ამგვარად წარმოქმნას კოლოკაცია. ტერმინოლოგიური ერთეულის სტატუსის მქონე ლექსემა სინტაგმატურ კავშირშია სხვა ლექსემასთან, რომელიც ასევე შეიძლება იყოს ტერმინი. ასეთი კავშირის შედეგად შედგენილი მორფოსინტაქსური კონსტრუქცია არაა საგაღდებულო იყოს ტერმინი, რამდენადაც იგი ყოველთვის არ შეესატყვისება კონკრეტულ ცნებას. მაგრამ როდესაც ელემენტებს შორის კავშირი გამყარდება, ხდება სტატუსის შეცვლა: ტერმინოლოგიური კოლოკაცია ხდება შედგენილი ტერმინი [Costa et al., 2004, p. 1530—1531].

არსებობს ტერმინოლოგიური კოლოკაციის კიდევ ერთი ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კოლოკაცია ეს არის სიტყვაშეთანხმება, რომელიც მიეკუთვნება ცოდნის განსაზღვრულ სფეროს და გამოხატავს ერთ ცნებას. მაგ. Weiße-Kragen-Kriminalität, Rechts-lücke, Gesetzlücke. ამ მაგალითებიდან ირკვევა, რომ ასეთი ინტერპრეტაციისას მთავარ როლს ასევე ასრულებს ტერმინოლოგიური კოლოკაციების მიმართება განსაზღვრულ ცნებასთან.

ამდენად, არსებობს კოლოკაციის ორგვარი

ინტერპრეტაცია,- ფართო გაგებით კოლოკაცია არის გვარეობითი ცნება და იგი განსხვავდება სხვა მყარი სიტყვაშეთანხმებებისაგან, როგორებიცაა იდიომა, კლიშე, კომპოზიტი და სხვა [M. Бенсон, Э. Бенсон, Р. Илсен]. ხოლო ვიწრო გაგებით კოლოკაცია მყარი სიტყვაშეთანხმებების სახეობაა. ზოგიერთი ავტორი მას ფრაზეოლოგიის სახესხვაობას უწოდებს, ზოგი მას ენის ფრაზეოლოგიური ფონდის მიღმა განიხილავს და ფრაზეოლოგიურ კონსტრუქციას უწოდებს, სხვანი კი მას ადგილს მიუჩენენ ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას შორის.

ტერმინოლოგიური კოლოკაციები სხვადასხვა ტიპისაა და მათი კლასიფიკაცია შესაძლებელია, რადგან კოლოკაციის ელემენტებს არაერთგვაროვანი სემანტიკური ბმა აქვთ ერთმანეთთან.

ფრაზეოლოგიური ტერმინი

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით ტერმინის კოლოკაცია დაზუსტების მცდელობებს. ავტორები ერთმანეთისაგან მიჯნავენ ტერმინოლოგიურ კოლოკაციასა და ფრაზეოლოგიურ (მეტაფორულ) ტერმინს.

ტერმინოლოგიურ კოლოკაციებში გამოარჩევენ კოლოკაციის კომპონენტთა შორის სხვადასხვა ტიპის ბმას, სხვადასხვა ტიპის კავშირს. ისეთი შესიტყვებები, როგორებიცაა *eine bewegliche Politik, eine kluge Politik, kalter Krieg, gelbe Gewerkschaften, abenteuerliche Politik* ფუნქციური თვალსაზრისით შედგენილი ტერმინებია, ტერმინოლოგიური შესიტყვებებია, ხოლო შესიტყვების ცალკეულ ერთეულთა შორის ბმის თვალსაზრისით, აქვს რა მათ ხატოვანება, შეიძლება ისინი მივაკუთვნოთ ფრაზეოლოგიურ (მეტაფორულ) ტერმინებს. ისეთი ტერმინოლოგიური შესიტყვებები კი, როგორებიცაა *eine politische Partei, einheimische Bevölkerung*, რომლის მდგენელთა მნიშვნელობებიც ეკვივალენტურია მასში შემავალი სიტყვების ჯამისა, არის სიტყვაშეთანხმება,

მყარი ფრაზა, კოლოკაცია ვიწრო გაგებით.

ფუნქციონალური თვალსაზრისით გამოიყოფა ორსიტყვიანი ტერმინები, რომლებიც ქმნიან კოლოკაციებს, მაგ: *gelbe Gewerkschaft, informelle Diplomatie, mehrgleisige Diplomatie*. თუმცა, სემანტიკური ბმის მიხედვით *gelbe Gewerkschaft* შეიძლება მივაკუთვნოთ ფრაზეოლოგიურ (მეტაფორულ) კოლოკაციებს. ხოლო სიტყვაშეთანხმებაში *Multi-laterale Diplomatie* - მრავალმხრივი დიპლომატია - მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობა ეკვივალენტურია მათი მნიშვნელობის ჯამისა, რაც წარმოადგენს კოლოკაციის ვიწრო გაგებას.

კოლოკაციის ნიშან-თვისებები და მისი ტიპები

ფორმალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ ზოგადენობრივი კოლოკაცია და ასევე ტერმინოლოგიური კოლოკაცია კომპაქტური ფრაზაა, სიტყვათა რედუცირებული კომბინაციაა, რომელიც სემანტიკურად მოცულობითი, ტევადია, რაც კონკრეტული სიტყვათა შეთანხმებით გამოიხატება და სადაც ნებისმიერობის პრინციპი გამოირიცხება.

კოლოკაცია ორი სხვადასხვა სტატუსის მქონე ავტოსემანტიკური ლექსიკური ერთეულის კავშირია. კოლოკაციური კავშირის ერთი კომპონენტი „სემანტიკურად ავტონომიურია“ და მას ბაზისურ ერთეულს უწოდებენ. მეორე, ე.წ. კოლოკატორი თავის მნიშვნელობას იძენს მხოლოდ კოლოკაციის საშუალებით: z.B. *eine abenteuerliche Politik*. ამ მაგალითში ლექსიკური ერთეული *Politik* ბაზისური სიტყვაა, ის ყოველთვის იქნება პოლიტიკა, იმისდამოუხედავად არის თუ არა ის ავანტიურისტული. კოლოკატორი *abenteuerlich* ბაზისურ სიტყვას *Politik* ანიჭებს დამატებით თვისებას, ნიშანს, თუმცა არ უცვლის მას (ბაზისურ სიტყვას) იდენტურობას - *abenteuerlich* დეტერმინებულია ლექსიკური ერთეულით *Politi-*

tik [Irsula 1992, S.29f, bzw. Klare 1998, S.239].

კოლოკაციის მეორე ნიშნად მიიხსენიან „კონტექსტთან ბმულობას“, ბმულობას კომუნიკაციის სიტუაციასთან, საგანთა მიმართულებით, ტექსტის ტიპებთან. კოლოკაციას ყველაზე ხშირად ვხვდებით განსაზღვრულ ტექსტის ტიპებთან, „ტექსტის ტიპებით განპირობებული კოლოკაციები“ ყველაზე მეტად დარგობრივ ტექსტებში გვხვდება, რომლებიც კონვენციებთანაა დაკავშირებული, ასეთებია: საკანონმდებლო ტექსტები, სხვადასხვა ტიპის ინსტრუქციები, ამინდის პროგნოზი და ა.შ. [Klare, S. 239f, bzw. Irsula, 1992, S.50f]. კოლოკაციებისათვის დომინანტურია შემდეგი სინტაქსური წყვილები: 1. ზმნა-არსებითი სახელი; 2. ზედსართავი სახელი – არსებითი სახელი; 3. ზმნა – ზედსართავი სახელი. 4. ზმნიზედა – ზედსართავი სახელი [Irsula 1992, S.56].

სპეციალურ ლიტერატურაში ვხვდებით ასევე კოლოკაციების სხვა ტიპოლოგიასაც. 1. უნიკალური კოლოკაცია; 2. მყარი კოლოკაცია; 3. ნახევრად მყარი კოლოკაცია ; 4. სუსტი კოლოკაცია [Hill 1999].

იურიდიული ტერმინოლოგიური კოლოკაცია

ჩვენს მიერ მოძიებული იურიდიული ტერმინოლოგიური კოლოკაციების აღწერას საფუძვლად უდევს მოდელები, რომლებშიც ძირითადი, საბაზისო სიტყვა არის არსებითი სახელი, ხოლო მასთან დაკავშირებული ზმნა – კოლოკატორი. აღნიშნული მოდელებისათვის გერმანულ ენაში დამახასიათებელია შემდეგი მორფოლოგიური-სინტაქსური სტრუქტურები:

Nomen Nominativ + Verb

Anspruch erlischt - პრეტენზიების, მოთხოვნების შეწყვეტა

Amt erlischt - უფლებამოსილების შეწყვეტა

Bürgerschaft erteilen - მოქალაქეობის მიცემა

Nomen Akkusativ + Verb

Befugnis verlieren - უფლებამოსილების დაკარგვა

Eigentum übertragen - საკუთრებაში გადაცემა

Erbschaft annehmen - მემკვიდრეობის მიღება

Recht verkaufen - უფლების გაყიდვა

Befugnis erteilen - უფლებამოსილების გადაცემა

Ehe auflösen - ქორწინების გაუქმება, განქორწინება

Belohnung aussetzen - დაჯილდოება

Zeugen laden - მოწმის სახით სასამართლოში დაბარება

Vorschrift verletzen - წესების დარღვევა

Berufung zurückweisen - სააპელაციო საჩივრის მიღებაზე უარის თქმა

Schuld (ab)decken - ვალის დაფარვა

Ehe schließen - დაქორწინება

Beweis erheben - სამხილის შეგროვება

Gesellschaft kündigen - საზოგადოებასთან ხელშეკრულების გაწყვეტა

Klage erheben - საჩივრის შეტანა

Pachtvertrag abschließen - არენდის ხელშეკრულების დადება

Nomen Dativ + Verb

der Klage stattgeben - სარჩელის დაკმაყოფილება

der Berufung stattgeben - აპელაციის დაკმაყოფილება

der Organisation beitreten - შესვლა ორგანიზაციაში

einem Vertrag beitreten - შეუერთდეს ხელშეკრულებას

Nomen Präposition + Verb

im Besitz stören - წინააღმდეგობის შექმნა

auf Geldstrafe erkennen - ფულადი ჯარიმის დაკისრება

zum Richter bestellen - მოსამართლედ დანიშნა

in die Politik gehen - პოლიტიკაში წასვლა
bei einer Wahl kandidieren - არჩევნებში მონაწილეობა, საკუთარი კანდიდატურის წარდგენა

bei einer Wahl gut/schlecht abschneiden - არჩევნებში წარმატების მიღწევა

ზემოხამოთვლილი მყარი სიტყვაშეთანხმებები პროტოტიპული კოლოკაციებია, რადგან კოლოკატორი (ზმნა) არსებით სახელთან კავშირში სხვა ინტერპრეტაციას იძენს და ამ მნიშვნელობაში შეზღუდული პროდუქტიულობით გამოირჩევა. მაგ: die Rechtskraft durchbrechen – იურიდიული ძალის ჩამორთმევა (და არა იურიდიული ძალის გატეხვა, გაწყვეტა, დახევა და ა.შ.). ამ კონკრეტულ შემთხვევაში კოლოკატორი durchbrechen გამოიყენება მნიშვნელობით „ჩამორთმევა“, „წართმევა“, „მოხსნა“.

კოლოკაციებს ასევე მიეკუთვნება სიტყვათა ისეთი კომბინაციები, რომლის დროსაც ზმნა რამდენიმე არსებით სახელთანაა ბმავში, კავშირში, როცა ეს უკანასკნელი სემანტიკურ-ცნებითი მსგავსებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორცაა eine Willenserklärung anfechten (სადავო გახდეს ადამიანის ნების გამომჟღავნება) ან ein Urteil anfechten (განაჩენის გასაჩივრება). შესაბამისად, კოლოკაციად უნდა მივიჩნიოთ არა მხოლოდ eine Willenserklärung anfechten, არამედ ასევე ein Urteil anfechten.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ მოძიებული იურიდიული დარგის მყარი სიტყვაშეთანხმებები პროტოტიპული კოლოკაციებია.

დასკვნა

იურიდიული ტერმინოლოგიური შესიტყვებების მდგენელებია არსებითი სახელი (საბაზისო სიტყვა) + ზმნა (კოლოკატორი). ამ ტიპის ტერმინოლოგიური კოლოკაციის შემადგენელი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობა არ სცილდება შესიტყვების მნიშვნელობას და ამდენად ქმნის მყარ ბმულ კონსტრუქციას. ამას გარდა, ისინი ამავე დროს იურიდიული დარგის კუთვნილებაც, და, შესაბამისად, იურიდიული ტერმინოლოგიური კოლოკაციაა.

საკვლევი მასალის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ იურიდიული ტერმინოლოგიური კოლოკაცია შედგება არსებითი სახელისა და ზმნის კომბინაციისაგან, ანუ, ისინი პროტოტიპული კოლოკაციის ნიმუშებია.

ლიტერატურა

1. Firth, John R. (1957): Papers in Linguistic, 1934-1951. London: Oxford University Press.
2. თანდაშვილი მ., ფურცხვანიძე ზ. კორპუსლინგვისტიკა (გლოსარიუმი და რეგისტრი) <http://armazi.uni-frankfurt.de/gnc/handbook-fin.pdf>
3. Porzig W. (1934/1973): "Wesenhafte Bedeutungsbeziehungen". In: Schmidt, Lothar (ed.): Wortfeldforschung. Zur Geschichte und Theorie des sprachlichen Feldes. Darmstadt, Wissenschaftliche Buchgesellschaft: 78–103
4. Coseriu Eugenio (1967/1978): "Lexikalische Solidaritäten". In: Geckeler, Horst (ed.): Strukturelle Bedeutungslehre. Darmstadt, Wissenschaftliche Buchgesellschaft: 239–253
5. Hausmann Franz Josef (1984): Wortschatzlernen ist Kollokationslernen. Zum Lehren und

Lernen französischer Wortverbindungen- In Praxis des neusprachlichen Unterrichts, 31, 395-206)

6. Costa R. (2004): The Verb in the Terminological Collocations : Contribution to the Development of a Morphological Analyser MorphoComp / R. Costa, R. Silva // Proceedings of the IV International Conference on Language Resources and Evaluation, LREC.Lisbon

7. Castellvi M. (2001): Automatic term detection : A review of current systems / M. Castellvi, R. Bagot, J. Palatresi // D. Bourigault, C. Jacquemin, M. C. L'Homme (eds.). Recent Advances in Computational Terminology. — Amsterdam : John Benjamins

8. Benson, Morton (1985): "Collocations and Idioms". In: Ilson, Robert F. (ed.): Dictionaries, Lexicography and Language Learning. Oxford etc., Pergamon: 61–68

9. Benson, Morton/Benson, Evelyn/Ilson, Robert F. (1986): The BBI Combinatory Dictionary of English. A Guide to Word Combinations. Amsterdam/Philadelphia: Benjamins

10. Irsula Peña, Jesús Ismael (1992): Substantiv-Verb-Kollokationen. Dissertation. Universität Leipzig

11. Klare Johannes (1998): Kollokationen im Französischen im Spannungsfeld zwischen Grammatik, Lexikon und Text. In: Udo Figge u.a.: Grammatische Strukturen und grammatischer Wandel im Französischen. Bonn, Rom. Verlag

12. Reder, Anna (2011): "Kommen Kollokationen in Mode? Kollokationskonzepte und ihre mögliche Umsetzung in der Didaktik". Linguistik online 47: 131–140

13. Friederich W. (1994): Was ist ein "Production Dictionary"? Lebende Sprachen 3/1994, 107-109

14. Häcki Buhofer Annelies (2011): „Lexikographie der Kollokationen zwischen Anforderungen der Theorie und der Praxis.“ In: S. Engelberg/A. Hollter/K. Proost (Hrsg.), Sprachliches Wissen zwischen Lexikon und Grammatik. Berlin/Boston: de Gruyter, 505–531

15. Hausmann Franz Josef (1995): „Von der Unmöglichkeit der kontrastiven Lexikologie.“ In: H.-P. Kromann/A. L. Kjær (Hrsg.), 19–23

16. Hausmann Franz Josef (2007): „Die Kollokationen im Rahmen der Phraseologie – Systematische und historische Darstellung.“ Zeitschrift für Anglistik und Amerikanistik 55/3, 217–234

17. Schwalm Gisela (1991): „Zum Problem der Kollokation in Gemein- und Fachsprache im Kontext der Übersetzung.“ TEXTconTEXT 6, 163–182

18. Hill Jimmie (1999): "Collocational Competence". English Teaching Professional: 3–7. www.freewebs.com/english1-0/competence.doc

19. Zenderowska-Korpus Grażyna (2004): Sprachliche Schematismen des Deutschen und ihre Vermittlung im Unterricht DaF. Frankfurt a. M. etc.: Lang

Collocation of Law Terminology (on the material of German language)

Rusudan Tabukashvili

University of Georgia

Department of European Languages and Philology

77a Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 593 512 484

E-mail: r.tabukashvili@gmail.com

Abstract

Terms are known to be heterogeneous lexical nominations and may be separate words, word groups, collocations, and even sentences. In the paper we discuss the collocations of law terminology in German language, try to establish the status of terminological collocation in linguistics and discuss the main morphological syntactical features of these lin-

guistic units on the material of political terminology of the German language.

Keywords:

Collocation, term, law terminology, terminological collocation, phraseological collocation.

**Юридическая терминологическая
коллокация
(на материале немецкого языка)**

Табукашвили Русудан Михайловна

Университет Грузии

Департамент европейских языков и филологии

Ул. Костава №77а, 0175, Тбилиси, Грузия

Тел.: 593 512 484

E-mail: r.tabukashvili@gmail.com

Резюме

Известно, что термины – это неоднородные лексические номинации и могут быть единичными словами, словосочетаниями, коллокациями, а также даже предложениями. В статье рассматриваем коллокации юридической терминологии в немецком языке, постарались установить статус терминологической коллокации в лингвистике, а также рассмотреть основные морфологическо-синтаксические своеобразия указанных языковых единиц, на материале политической терминологии немецкого языка.

Ключевые слова:

коллокация, термин, юридическая терминология, терминологическая коллокация, фразеологическая коллокация.

საკლასო დისკურსის ასიმეტრიული თავისებურებები

როლანდ შავაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ნინო შვილის ქ. №35, 6010, ბათუმი,
საქართველო
ტელ.: 599 672 424
E-mail:rolandshavadze90@gmail.com

რეზიუმე

თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებელი კლასში ისევ ძალაუფლების მქონე ავტორიტეტი და კომუნიკაციის ფორმაც ძალაუფლების დემონსტრირებას ხელს უწყობს. დარგის სპეციალისტების მხრიდან სასწავლო პროცესში მოსწავლისა და მასწავლებლის კომუნიკაციას, როგორც საკლასო დისკურსს ნაკლები ყურადღება ეთმობა. სასწავლო პრაქტიკაში მასწავლებლის მიერ მეტყველების სწორად შერჩევა იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც სწორი მეთოდოლოგიის შერჩევა მასალის ასათვისებლად. საკლასო დისკურსი განათლების დისკურსის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ საკლასო დისკურსის შესწავლის ინტერესი სწავლა-სწავლების პროცესში ეფექტური კომუნიკაციის ცენტრალური როლის განსაზღვრამ გამოიწვია. წინამდებარე ნაშრომში განხილულია საკლასო კონტექსტში მასწავლებლის როგორც დომინანტის და მოსწავლის როგორც მასზე დამოკიდებულის მეტყველების თავისებურებები.

საკვანძო სიტყვები:

საკლასო დისკურსი, კომუნიკაცია, მასწავლებლის მეტყველება.

შესავალი

კლასი სოციალური კონტექსტია, სადაც მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთ-

ბაში ენას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. კლასში, სასწავლო პროცესში გამოყენებული ენა არ არის მხოლოდ მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ინფორმაციის გაცვლის მექანიზმი. ენის საშუალებით სასწავლო პროცესში ხდება სოციალური ნორმების ტრანსფორმირებაც, რომელიც სკოლის, როგორც ინსტიტუციური სტრუქტურის მახასიათებელია. სასკოლო კომუნიკაციის თავისებურებას მასწავლებლისა და მოსწავლეების პოზიციური როლი განსაზღვრავს. კერძოდ, საკლასო კონტექსტში მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის არსებული კომუნიკაცია კონტექსტის თავისებურებიდან გამომდინარე ასიმეტრიულია. კომუნიკაციის ფორმის განსაზღვრის ლეგიტიმაცია აქვს მასწავლებელს, რომელიც აკონტროლებს დისკურსს და აძლევს სასურველ მიმართულებას. აქედან გამომდინარე, საკლასო გარემოში მოსწავლისა და მასწავლებლის ინტერაქციის დროს წარმოქმნილი დისკურსი სოციალური იერარქიის გამოხატულებას შეიცავს.

სოციალურ სივრცეში ვერბალური კომუნიკაციის ფორმა კონკრეტულ ჩარჩოშია მოქცეული, რომელიც კონტექსტის შესაფერისია. საკლასო გარემოში, როგორც სოციალურ სივრცეში, ვერბალური კომუნიკაცია არის სოციალური ურთიერთობის ფორმა, რომლითაც მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის არსებული სუბორდინაცია ვერბალურად გამოიხატება. შესაბამისად, ნებისმიერ კონტექსტში ენის შესწავლისას მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს თუ ვინ ქმნის დისკურსს და ვინ მეტყველებს კონკრეტულ გარემოებაში ამ ენაზე.

საგანმანათლებლო დაწესებულებები, როგორც სტრუქტურულ ასევე სასწავლო პროცესში, მუდმივ მეთოდურ ცვლილებებს განიცდიან. ტრადიციული საკლასო ოთახის თანამედროვე მოდელებით ჩანაცვლება

უწყვეტი პროცესია. თუმცა სწავლების შესახებ ტრადიციული ხედვა ჯერ კიდევ დომინირებს, რომელიც მოსწავლის მასწავლებლის მიმართ მორჩილებას მოიაზრებს. ეს ნიშნავს, რომ მასწავლებელი კლასში ძალაუფლების მქონე ავტორიტეტია და კომუნიკაციის ფორმაც ძალაუფლების დემონსტრირებას ხელს უწყობს.

ძირითადი ნაწილი

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომის კვლევის საგანმა და დასმულ საკითხთა ხასიათმა განაპირობა გამოყენებული მეთოდოლოგიის ტიპის შერჩევა. ნაშრომი ეფუძნება კვლევას, რომელიც მოიცავს რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს. საკვლევად გამოყენებულია ორი სახის კითხვარი, რომელიც მოიცავს: 1) მასწავლებლების მიერ საკლასო კონტექსტში სამეტყველო ენის შეფასებას. 2) მოსწავლეების მიერ მასწავლებლის კომუნიკაციის წარმართვის შეფასებას.

კვლევის ინსტრუმენტები

კვლევა განხორციელდა აჭარის რეგიონში. კვლევაში მონაწილეობდა საჯარო და კერძო სკოლების 40 მასწავლებელი და 97 მოსწავლე.

ყველა რესპოდენტს ელექტრონული ფორმით გაეგზავნა კითხვარი, რომელიც შექმნილია SurveyMonkey.com პროგრამაში.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია ქართულ რეალობაში საკლასო დისკურსის ასიმეტრიული თავისებურებების გამოვლენა, რისთვისაც შესწავლილია საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ლიტერატურა. თეორიულ საკითხზე დაყრდნობით შემუშავებულია პრაქტიკული კვლევა, რომელიც ნათლად

წარმოაჩენს პრობლემის რეალურ მნიშვნელობას. ამ ნაშრომის მიზანია აგრეთვე მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთობის დროს ვერბალური კომუნიკაციის თავისებურებების შესწავლა.

კვლევის ანალიზი

საკანონმდებლო რეგულაციები როგორც საკლასო დისკურსის განმსაზღვრელი ფაქტორები

საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების საერთო სოციალური სივრცე არის ფორმალური გარემო, სადაც მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობები რეგულირებულია პოლიტიკური დოკუმენტებით, რომლებიც პოლიტიკის შემქნელთა ინტენციას ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ რეალობაში საგანმანათლებლო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები აღსრულების თვალსაზრისით ზოგჯერ ფორმალურია, იგი განკუთვნილია საზოგადოების ფართო სპექტრისათვის. საქართველოში ზოგადი განათლება ერთი კონკრეტული დოკუმენტით არ რეგულირდება. არსებობს სხვადასხვა სახის რეგულაციები, რომლებიც ქვეყნის მთავარ კანონთან – კონსტიტუციასთან თანხვედრაშია და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევისათვის კონკრეტულ განმარტებებს შეიცავს. ხოლო ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები გაწერილია კონკრეტულ დოკუმენტში, რომლის ტექსტი განათლების პოლიტიკის შემქნელების ძირითად ინტენციას შეიცავს:

„საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის“ [84, 2004].

მოზარდის ზემოთ აღნიშნული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის საქართველოს სახელმწიფო კისრულობს პასუხისმგებლობას, შეიმუშაოს და დანერგოს:

ზოგადი განათლების პოლიტიკა და კანონმდებლობა

„საქართველოს სახელმწიფო კანონმდებლობით განისაზღვრება როგორც სასკოლო განათლების სფეროში ჩაბმული მხარეების უფლებები და მოვალეობები, ისე მიზნების მიღწევის ძირითადი გზები და საშუალებები.“

ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემა.

„...სასკოლო სისტემები ახორციელებენ საგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით და სასკოლო წესდების მიხედვით...“ [84, 2004].

საგანმანათლებლო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები და მასწავლებელთა ძალაუფლება

ზოგადი განათლების შესახებ დოკუმენტების ტექსტების შინაარსი განსაზღვრავს მასწავლებლისა და მოსწავლის იდენტობებს. ამ დოკუმენტების ტექსტები შეიცავს არამარტო მასწავლებლების უფლებებსა და ვალდებულებებს, არამედ მასწავლებლის ავტორიტეტულ როლს განათლების პოლიტიკის განხორციელების პროცესში. შესაბამისად, დოკუმენტების შესწავლისას ყურადღება ეთმობა არა მხოლოდ უფლებებსა და შეზღუდვებს, არამედ ურთიერთობის პრაქტიკულ ფორმასაც, რომელიც ამ დოკუმენტებით რეგულირდება.

ვინაიდან მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთობა საგაკვეთილო პროცესში კანონით რეგულირდება, მასწავლებლის საკლასო პრაქტიკა კანონის შესაბამის მოლოდინს ქმნის:

„მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული ქცევის წესებს, რომლითაც ფასდება მასწავლებლის პროფესიული კომპეტენტურობის ხარისხი და რომელთა დაცვა მასწავლებელს მოსწავლეების, მშობლების, მას-

წავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების მიმართ მოეთხოვება.“ [მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, 2010].

საკლასო კონტექსტის დისკურსის ანალიზი

ქართულ რეალობაში საკლასო დისკურსის ასიმეტრიული თავისებურებების გამოსავლენად და ასევე ჩვენი ჰიპოთეზის გასამყარებლად აჭარის რეგიონის, (ხულო, შუახევი ქედა, ბათუმი) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩავატარეთ კვლევა. კვლევაში მონაწილეობდა საშუალო საფეხურის 97 მოსწავლე და 40 მასწავლებელი. ნაშრომი ეფუძნება რაოდენობრივი კვლევის მეთოდების საშუალებით მიღებულ შედეგებს. სპეციალურად შემუშავებული კითხვარი რესპოდენტისგან მოითხოვდა არჩევანის გაკეთებას იმ ვარიანტზე, რომელიც მათი აზრით რეალობას შეესაბამებოდა.

თავისუფალი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა;

მოწვევრიგებული კომუნიკაციის დროს, კონკრეტულ კონტექსტში არსებულ ყველა პირს თანაბრად უნდა შეეძლოს აზრის გამოხატვის შესაძლებლობა. თუმცა, როგორც თეორიულ ნაწილში უკვე აღინიშნა, საკლასო კონტექსტი არის ფორმალური, ინსტიტუციური სივრცე, სადაც მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობები რეგულირებულია. საგანმანათლებლო პოლიტიკური დოკუმენტები მასწავლებელს ანიჭებს სასწავლო პროცესის მართვის ლეგიტიმაციას, თუმცა არ უკონკრეტებს ფორმებს. თანამედროვე პედაგოგიკა მასწავლებელს მოიაზრებს როგორც ფასილიტატორს, რომელიც სასწავლო პროცესის მხოლოდ მიმართულების მიმცემია. თუმცა კვლევამ საპირისპირო შედეგი აჩვენა. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა დიდი ნაწილი (85%) ფიქრობს, რომ მოსწავლეს საშუალება ეძლევა სასწავლო პროცესში თავის

ვისუფალი აზრის დაფიქსირებისა, მოსწავლეთა 70% არ იზიარებს ამ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ მოსწავლეების თავისუფალი აზრის გამოხატვა სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ შეზღუდულია.

სასწავლო პროცესში მხოლოდ საგაკვეთილო თემაზე ხდება კონცენტრირება

კლასში გაკვეთილის თემას მასწავლებელი სასწავლო პროგრამისა და გრიფირებული სახელმძღვანელოს საფუძველზე განსაზღვრავს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მასწავლებელს მოეთხოვება ყოველდღიური გაკვეთილის გეგმა, სადაც გაწერილია გაკვეთილის თემა და თემასთან დაკავშირებული აქტივობები. ვინაიდან საგაკვეთილო ფორმატი დროში ლიმიტირებულია და ამავდროულად გაკვეთილის გეგმაში არსებული აქტივობები შედეგზე გასვლისთვის გაკვეთილისთვის განკუთვნილ ზუსტ დროს მოითხოვს, მასწავლებელი ცდილობს გაკვეთილის თემის გარდასხვა საკითხებზე ნაკლებად მოუსმინოს მოსწავლეს ან ესაუბროს მას. ასევე საკლასო კონტექსტი მასწავლებელს შეზღუდვებს უწყებს. საკლასო კონტექსტი ჩვეულებრივ გარემოსაგან განსხვავებით დისკურსის მონაწილეებს უქმნის საკომუნიკაციო ფორმას, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესში ნორმად არის მიღებული. შესაბამისად, გამოკითხულ მასწავლებელთა 75% ფიქრობს, რომ მოსწავლეს სასწავლო პროცესში, საგაკვეთილო თემის გარდა სხვა საკითხებზე შეუძლია ესაუბროს. მოსწავლეთა დაახლოებით 60% ეთანხმება ამ მოსაზრებას, გამოკითხული მოსწავლეების 40% კი თვლის, რომ მოსწავლეს საგაკვეთილო თემის გარდა სხვა საკითხის მასწავლებელთან განხილვა არ შეუძლია.

სასწავლო პროცესში მოსწავლის მეტყველების კორექტირება

სასწავლო პროცესის მონაწილეების

იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილია ენა. მასწავლებლისა და მოსწავლის მეტყველება ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე განსხვავებულია. მასწავლებლის მეტყველების ლექსიკური გამოხატულება საკლასო კონტექსტის შესაფერისია, თუმცა მოსწავლის მეტყველება ხშირად განსხვავებულია იმ თვალსაზრისით, რომ იგი შესაძლოა საუბრობდეს ფორმალური კონტექსტისთვის არადაამახასიათებელი სიტყვებით ან ფრაზებით. მოსწავლეების საკლასო კონტექსტისათვის შეუფერებელი ლექსიკა მასწავლებლის მიერ შესწორებულია. ხშირ შემთხვევაში ხდება მასწავლებლის სურვილის შესაბამისად მისი ჩასწორება. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, გამოკითხულ მასწავლებელთა მხოლოდ მცირე ნაწილს (25%) მიაჩნია, რომ მოსწავლეს სასწავლო პროცესში შეუძლია გამოიყენოს სასურველი ფრაზები ან სიტყვები. ხოლო გამოკითხულ მასწავლებელთა დიდი ნაწილი (75%) თვლის, რომ საკლასო კონტექსტში მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ მხოლოდ ის ლექსიკა, რომელიც მასწავლებლისათვის მისაღებია. რაც შეეხება გამოკითხულ მოსწავლეთა შედეგებს, 55% ადასტურებს, რომ მასწავლებლები მოსწავლეთა მეტყველებაში მათთვის არასასურველ სიტყვას სხვა სასურველი სიტყვებით ან ფრაზებით ანაცვლებენ.

მასწავლებლის მიერ მოსწავლის საუბრის შეწყვეტინება

საკლასო კონტექსტში მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასიმეტრიული გამოხატულება მასწავლებლის მიერ საუბრის აბსოლუტური კონტროლია. უფრო კონკრეტულად, კლასის სუბორდინაციული კონტექსტიდან გამომდინარე, მასწავლებელს უფლება აქვს ისაუბროს ნებისმიერ დროს ნებისმიერ მოსწავლესთან, შეაწყვეტინოს და ჩაერთოს საუბარში მოსწავლეს და წარმართოს სასურველი მიმართულებით. საუბრის დროს

ხმის სიმაღლეს და ტონსაც თავად მასწავლებელი განსაზღვრავს. გამოკითხული მასწავლებლების დაახლოებით 80% მიიჩნევს, რომ მასწავლებელი მოსწავლის საუბარში არ ერევა და აძლევს თავისუფალი საუბრის შესაძლებლობას. თუმცა, მასწავლებელთა მხოლოდ მცირე ნაწილი, დაახლოებით 20% ადასტურებს მასწავლებელთა ჩარევას მოსწავლის თავისუფალ მეტყველებაში და საუბრის ისეთი ფორმით განვითარებას, რომელიც მასწავლებლისთვის მისაღებია. არსებითად განსხვავებულ შედეგს აჩვენებს ამ კითხვასთან დაკავშირებით მოსწავლეების პასუხები. გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობა, დაახლოებით 60% ადასტურებს, რომ საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელი ხშირად აწყვეტინებს მოსწავლეს ლაპარაკს და მისთვის სასურველ მიმართულებას აძლევს მას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულ მოსწავლეთა 40% მასწავლებლის მიერ საუბრის შეწყვეტინებას არ ადასტურებს.

განსხვავებული მოსაზრების მიუღებლობა

თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ მთავარი მოთხოვნა არის შექმნას ისეთი გარემო, რომელიც მოსწავლეს ხელს შეუწყობს მრავალმხრივი ინტელექტის განვითარებას, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას, სხვისი აზრის პატივისცემას და საკუთარი აზრის შესაბამისი არგუმენტებით გამყარებას. ამ ყოველივეს მოსწავლე ეუფლება საკლასო სივრცეში, სადაც მასწავლებელი აძლევს საშუალებას მოსწავლეს განავითაროს კონკრეტული უნარები სწორი მიმართულებით. კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საკითხის შესახებ თავისი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა.

გამოკითხული მასწავლებლების 65%-ზე მეტი მიიჩნევს, რომ მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში განსხვავებული აზრის გამოხატვის შესაძლებლობა ეძლე-

ვთ. ხოლო, გამოკითხულ მასწავლებელთა დაახლოებით 35% თვლის, რომ მოსწავლეების განსხვავებული მოსაზრების დაფიქსირება მასწავლებლის მიერ იზღუდება. საპირისპირო სურათს აჩვენებს ამ კითხვაზე მოსწავლეების კვლევის შედეგები. მათი უმრავლესობა დაახლოებით 70% ფიქრობს, რომ მასწავლებელი ზღუდავს მოსწავლის განსხვავებულ მოსაზრებას. 30% კი მიიჩნევს, რომ მოსწავლის განსხვავებული აზრის გამოხატვა მასწავლებლის მიერ არ იზღუდება.

ძალაუფლების ვერბალური გამოხატულება

საგაკვეთილო პროცესის ეფექტური მართვა ყველა მასწავლებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. კლასის ეფექტური მენეჯმენტი მასწავლებლის სწორი მეთოდების და აქტივობების შერჩევაზე დამოკიდებულია. არასწორად დაგეგმილი საგაკვეთილო და არაეფექტური აქტივობები კლასში იწვევს ქაოსს. როდესაც კლასის მართვა პედაგოგიური უნარებით შეუძლებელი ხდება, კლასის დამორჩილების მიზნით მასწავლებელი მიმართავს საკლასო კონტექსტში მასზე მინიჭებული ძალაუფლების დემონსტრირებას და ვერბალური გამოხატულებით ცდილობს მოსწავლეებს შეახსენოს მისი უპირატესობა სხვებთან მიმართებაში.

გამოკითხული მასწავლებლების მხოლოდ 40% უარყოფს მასწავლებლების მხრიდან ისეთი ფრაზების გამოყენებას, როგორცაა: შეწყვიტეთ გადალაპარაკება, არ მაინტერესებს რას ფიქრობ შენ, სისულელეების ლაპარაკს დაანებე თავი და ა.შ. მასწავლებლების 40%-ზე მეტის მოსაზრებით მსგავს ფრაზებს მასწავლებელი იშვიათად იყენებს, ხოლო დაახლოებით 20%-ის მოსაზრებით ასეთ ფრაზებს მასწავლებელი ხშირად იყენებს.

გამოკითხული მასწავლებლების 40%-ზე მეტი ადასტურებს, რომ მასწავლებლები მო-

სწავლეებს აღნიშნული ფრაზებით ხშირად ესაუბრებიან. ასევე, 40% მოსაზრებით მასწავლებლები იყენებენ ასეთ ფრაზებს, მაგრამ იშვიათად. ხოლო მხოლოდ 20%-მდე მოსწავლე უარყოფს მასწავლებლის მხრიდან მსგავსი ფრაზების გამოყენებას.

კრიტიკული აზრის გამოსატვის შესაძლებლობა

კრიტიკული აზრის გამოსატვის შესაძლებლობა პიროვნების თავდაჯერებულობის და ინტელექტუალური განვითარებისთვის აუცილებელია. საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებელი უნდა ქმნიდეს მოსწავლისათვის გარემოს, სადაც მას ექნება სუბიექტური აზრის გამოსატვის შესაძლებლობა. გამოკითხულ მასწავლებელთა 90% მიიჩნევს, რომ მოსწავლეს ეძლევა კრიტიკული აზრის გამოსატვის შესაძლებლობა. ხოლო გამოკითხული მოსწავლეების დაახლოებით 60% მიიჩნევს, რომ მოსწავლეს საგაკვეთილო პროცესში არ ეძლევა კრიტიკული აზრის გამოსატვის შესაძლებლობა.

დასკვნა

მოცემული ნაშრომის მიზანი იყო წარმოეჩინა საკლასო დისკურსის ასიმეტრიული თავისებურებები. ჩატარებული კვლევის საფუძველზე ჩვენ მივედით შემდეგ დასკვნებამდე:

- ტრადიციული საკლასო ოთახის თანამედროვე მოდელებით ჩანაცვლების მიუხედავად განათლების შესახებ ტრადიციული ხედვა ჯერ კიდევ დომინირებს, რომელიც მოსწავლის მასწავლებლის მიმართ მორჩილებას მოიაზრებს. მასწავლებელი კლასში ძალაუფლების მქონე ავტორიტეტია და კომუნიკაციის ფორმაც ძალაუფლების დემონსტრირებას ხელს უწყობს.

- სკოლის ინსტიტუციური სტრუქტურულიდან გამომდინარე, საკლასო გარემოში წარმოქმნილი დისკურსი სოციალური იერარქიის გამოხატულებას შეიცავს. კომუნიკაციის ფორმის განმსაზღვრელი არის მასწავლებელი, რომელსაც დისკურსის კონტროლის და მიმართულების მიცემის ძალაუფლება თავისი პოზიციური როლიდან გამომდინარე გააჩნია.

- საგანმანათლებლო საკანონმდებლო ტექსტის მასწავლებლების მიერ ინტერპრეტაცია ხშირ შემთხვევაში განსხვავებულია ან აცდენილია ტექსტების ავტორთა ინტენციისგან.

- საკლასო სივრცეში მასწავლებლისა და მოსწავლის კომუნიკაციისას წარმოქმნილი შეზღუდვების ერთ-ერთი მიზეზი საკანონმდებლო ტექსტის არასწორი დეკოდირება და ინტერპრეტაციაა. მასწავლებლის შეუსაბამო უნარ-ჩვევები იწვევს საგანმანათლებლო პოლიტიკის არასწორ რეალიზებას;

- კლასის სუბორდინაციული კონტექსტიდან გამომდინარე მასწავლებელი ერთვება მოსწავლეს მეტყველებაში, აწყვეტინებს საუბარს და აძლევს სასურველ მიმართულებას;

- მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში განსხვავებული აზრის გამოსატვის შესაძლებლობა ნაკლებად ეძლევათ. მათ მიერ განსხვავებული მოსაზრების ინიცირება მასწავლებლის მიერ იზღუდება;

- კლასის მორჩილების მიზნით მასწავლებელი მიმართავს საკლასო კონტექსტში მასზე მინიჭებული ძალაუფლების ვერბალურად დემონსტრირებას, რათა წარმოაჩინოს საკუთარი უპირატესობა.

ლიტერატურა

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ. №84, ს. მ. (2004)

Asymmetrical Peculiarities of Classroom Discourse

Roland Shavadze

Batumi State University

Faculty of Humanities

35 Ninoshvili str., 6010, Batumi, Georgia

Tel.: 599 672 424

E-mail:rolandshavadze90@gmail.com

2. საქართველოს მთავრობა (2005): კანონი ზოგადი განათლების შესახებ. დადგენილება №1330–Ib

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2016): ეროვნული სასწავლო გეგმა. მინისტრის ბრძანება №40/ნ. თბილისი

4. ფარჯანაძე ნ. (2010): პრაგმატიკული მნიშვნელობის წარმოშობის სპეციფიკა (ინგლისურ და ქართულ ენების მასალაზე). ქუთაისი.

5. Bloome D., & Beauchemin F. (2016): *Languageing Everyday Life in Classrooms. Literacy Research: Theory, Method, and Practice*

6. Cazden C. B. (2001): *Classroom Discourse The Language of Teaching and Learning*

7. Mayer D. L. (2008). Teachers, national regulation and cosmopolitanism. *Critical readings in teacher education.*

8. Mc Croskey, J. C., & Richmond, V. P. (2010). Power in the classroom I: Teacher and student perceptions. *communication education*

9. Park H.-Y. (2008): “You are confusing!”: Tensions between Teacher’s and Students’ Discourses in the Classroom. *Journal of Classroom Interaction.* 4-13

10. Tatto M. T. (2007): Education reform and the global regulation of teachers’ education, development and work: A cross-cultural analysis. *International Journal of Educational Research*

11. Taubman P. M. (2009): *Deconstructing the Discourse of Standards and Accountability in Education.* New York

12. Walsh S. (2011): *Exploring Classroom Discourse.* New York

Abstract

In contemporary general education institutions, teachers are still authorities in classrooms and the form of communication in the classroom context supports the demonstration of their power. According to scholars, less attention is paid to the student-teacher communication as a class discourse. However, it is important to highlight that, in teaching practice, the selection of speech by the teacher is as important as the selection of the correct methodology for mastering new materials. Classroom discourse is an element of educational discourse. Therefore, the interest in studying classroom discourse has been caused by the defining of effective communication as the central role in the teaching-learning process. In this article we tried to empathize the peculiarities of communication of the teacher as dominant and the student as subordinated in context

Keywords:

classroom discourse, communication, teacher speech.

Асимметрические своеобразия классного дискурса

Шавадзе Роланд Суликоевич
Батумский государственный университет
им. Шота Руставели
Факультет гуманитарных наук
Ул. Ниношвили N35, 6010, Батуми, Грузия
Тел. 599 672 424
E-mail:rolandshavadze90@gmail.com

Резюме

В современном общеобразовательном заведении, учитель в классе является авторитетом, имеющим власть и форма коммуникации также способствует демонстрации власти.

Со стороны специалистов отрасли малое внимание уделяется коммуникации между учителем и учеником, классному дискурсу. В учебной практике правильный выбор речи учителем также значителен, как и выбор правильной методологии для освоения материала.

Учебный дискурс является составной частью образовательного дискурса. Поэтому, интерес изучения вызван определением центральной роли эффективной коммуникации в процессе обучения-изучения.

В статье рассмотрены своеобразия речи в классном контексте, учителя, как доминанта и ученика, как зависящего от речи преподавателя.

Ключевые слова:

классный дискурс, коммуникация, речь учителя.

კონცეპტის „ოცნება“ ღირებულებითი მნიშვნელობა და კონცეპტის რეპრეზენტაცია ინგლისური ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემასა და დისკურსში

თათია ჩირაძე
საქართველოს უნივერსიტეტი
ევროპული ენებისა და ფილოლოგიის
დეპარტამენტი
კოსტავას ქ. № 77ა, 0175, თბილისი,
საქართველო
ტელ: 598 340 608
E-mail: tatia_chiradze@yahoo.com

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში წარმოვადგენთ ოცნებას, როგორც ადამიანის შინაგანი სამყაროს რთულ და მრავალასპექტიან რეალიას. ოცნება ადამიანის ფსიქიკის ფუნქციონირების ერთ-ერთ ეგზისტენციალურად უმნიშვნელოვანეს ასპექტად წარმოგვიდგება. კონცეპტის „ოცნება“ ღირებულებითი მნიშვნელობის კვლევა, მისი ფენომენოლოგიური არსი, მე-სუბიექტი, ფენომენის „სხვისი“ პოზიციიდან ანალიზი ხორციელდება ანთროპოცენტრისტული პარადიგმის ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები:

უნივერსალურობა, ღირებულებითი შინაარსები, „dream“ (ოცნება), მე-სუბიექტი, ოცნების ფენომენოლოგიური არსი, ოცნების ფენომენის „სხვისი“ პოზიციიდან ანალიზი.

შესავალი

ოცნება, როგორც ადამიანის შინაგანი სამყაროს რთული და მრავალასპექტიანი რეალია, წარმოადგენს ადამიანის ფსიქიკის ფუნქციონირების ერთ-ერთ ეგზისტენციალურად უმნიშვნელოვანეს ასპექტს. როგორც მიზანმიმართული სააზროვნო პროცესი და ინდივიდის ცნობიერების განსაკუთრებული მდგომარეობა, ოცნება იძენს სტატუსს შინა-

განი სამყაროს იმ ფენომენისა, რომელიც ფუნქციონირებს საკუთარი კანონების შესაბამისად. ჭეშმარიტად ანთროპოცენტრისტული ბუნების მქონე ენობრივი ცნობიერების ფრაგმენტი განსაზღვრავს არა მხოლოდ ადამიანის ფსიქოსოციალური პორტრეტის მრავალ შტრიხს, არამედ ადამიანის საქმიანობის ცალკეულ ასპექტებსა და ღირებულებით ორიენტირებსაც.

მოიცავს რა ცნობიერების, განცდებისა და ემოციების მთელ რეპერტუარს, ოცნება გვევლინება ადამიანის შინაგანი სამყაროს სემიოსფეროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფრაგმენტად და იმავდროულად, მეტისმეტად რთულად ხელშესავლებს აბსტრაქციად.

ოცნების ღირებულებითი არსი განეკუთვნება უნივერსალიათა რიგს. უნივერსალურობა წარმოადგენს ენის ანთროპოცენტრულობის, ენის ადამიანსა და სამყაროზე ორიენტირებულობის გარკვეულ შედეგს. თუმცა, მოცემული სიდიდის აბსოლუტიზირება შეუძლებელია, ვინაიდან ადამიანის შინაგანი სამყაროს მოვლენათა აღქმა და გააზრება კორელაციაშია ადამიანის ამა თუ იმ ეთნოსში ყოფიერების პირობებთან [Вежницкая 1999: 291-293]. ენობრივი ალომორფიზმის ძირი კულტურულ ტრადიციაშია, რომლის არსებობაც იკვეთება ექსტრალინგვისტური ფაქტორების ფონზე [Вежницкая 1997]. ამდენად, კულტურა წარმოადგენს იმ შინაარსობრივ ბირთვს, რომლის ირგვლივაც რეალიზდება ენობრივ ფორმებში ასახული მსოფლადქმის ეროვნული სპეციფიკა. აქედან გამომდინარე, ოცნების ღირებულებითი მნიშვნელობის ენობრივი ნიშანი-ნომინანტი წარმოადგენს ადამიანის შინაგანი სამყაროს თაობაზე არსებული ცოდნის გასაგნების კონვენციონალურ საშუალებას. აღნიშნული ცოდნა ჩნდება ენის, ცნობიერებისა და კულ-

ტურის გადაკვეთაზე და უზრუნველყოფს მათ ერთიანობას ძიებაზე [Демьянков 1995, 2001; Кубрякова 1993, 1999; Lakoff 1993; Wierzbicka 1980, 1992].

ძირითადი ნაწილი

სამყაროსადმი აქსიოლოგიური დამოკიდებულება წმინდა ანთროპოცენტრისტული ბუნებისაა. ადამიანი, როგორც აქტიური, ღია და თვითორგანიზებადი სისტემა, არსებობს ღირებულებით-შინაარსობრივ სივრცეში. სწორედ ამ სივრცეში ქმნის ადამიანი ღირებულებებს და სწორედ ამ სივრცეში ხდება ღირებულებათა ინტერიორიზირება. მიზეზობრიობასთან, ემოციურ ექსპრესიასთან და სხვა ეგოცენტრისტულ კატეგორიებთან ერთად, ღირებულება წარმოადგენს ერთ-ერთ ბაზისურ კატეგორიას. ღირებულება ყალიბდება იმ კონცეპტთა ურთიერთქმედების ფონზე, რომლებიც აგებენ სემანტიკური თვალსაზრისით უწყვეტ კონტინუუმს. ღირებულებით-შინაარსობრივი სფერო წარმოადგენს ინდივიდის ორიენტაციულ და მოტივაციურ ბირთვის. სწორედ ეს სფერო განსაზღვრავს მიმართებათა სპეციფიკას დიადის ფარგლებში, როგორცაა „ადამიანი-სამყარო“.

ღირებულებითი შინაარსები წარმოადგენს ცნებობრივი ან სახეობრივი ხასიათის მქონე მსოფლმხედველობრივ და სუთიერ დომინანტებს. სწორედ ამ უკნასკნელთა მეშვეობით ხდება ღირებულებათა დამკვიდრება და აღიარება. ღირებულებები განიცდება ადამიანის მიერ აქსიოლოგიურ მოღუსში - ღირებულებები წარმოადგენს ადამიანის ინდივიდუალური და ზეინდივიდუალური ყოფიერების სუთიერ კოორდინატებს, რომლებიც მოიცავენ სოციოკულტურულ, მარეგულირებელ და მათორიენტირებელ პოტენციალს.

ღირებულებები ვლინდება და რეალიზდებ

ბა შეფასების მეშვეობით. ადამიანი აფასებს და ანაწევრებს სამყაროს აქსიოლოგიური ტიპის მსჯელობათა ფარგლებში. ადამიანის სწორედ ამ ქმედებაში ძვეს ადამიანის სამყაროსთან ადაპტაციის მექანიზმი. ენობრივი შეფასება შემეცნებითი საქმიანობის განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც წარმოადგენს გამოცდილების გააზრების შედეგს. იგი ეფუძნება როგორც მეცნიერულ ცოდნას, ისე ყოფითი ცნობიერების ფაქტებს. ამდენად, სწორედ შეფასების გზით ხორციელდება სამყაროს შეცნობის კონტინუალური პროცესი.

ენის სისტემაში ენობრივი ნიშანი „dream“ გააზრებულია როგორც ინგლისური ლინგვოკულტურული ტრადიციის ერთ-ერთი ბირთვული ღირებულებითი ელემენტი. ოცნების ფენომენის აქსიოლოგიური აღქმა ვლინდება ცნებობრივი ონტოლოგიის დონეზე: ენობრივი ნიშნის „dream“ სემანტიკაში იკვეთება სამყაროსადმი ადამიანის ღირებულებითი დამოკიდებულების გააზრების გამოცდილება, გააზრების პროცესის ელემენტები და შედეგები.

ენობრივი ნიშანი „dream“ მრავალმნიშვნელოვანია, რაც მეტყველებს ღირებულებითი მნიშვნელობის შინაარსის მრავალკომპონენტურობაზე. ამ უკანასკნელის შინაარსობრივი მხარე მოიცავს სხვადასხვაგვარი ფუნდამენტური პიროვნულ სტრუქტურის ელემენტებს (სურვილს, იმედს, მიზანს, წარმოსახვას). ოცნების (dream) აქსიოლოგიური მნიშვნელობის ანალიზმა, რომელიც განხორციელდა მომიჯნავე ღირებულებათა (reverie; wish/desire; hope; aspiration/ambition/goal; fantasy/fancy) გათვალისწინებით, ცხადყო, რომ:

1. ღირებულებათა სინთეზი წარმოადგენს საკვლევი აქსიოლოგიური კოორდინატის ფენომენოლოგიური თავისებურების საფუძველს;

2. ოცნების კოგნიტური სპეციფიკა განპირობებულია ენობრივი (პოლისემია და ამბივალენტურობა, ანტონიმია სტატიკუ-

რობა/დინამიურობის და რეალურობა/არარეალურობის ჩარჩოებში) და პრაგმატიკული (მკვეთრი ღირებულებითი დომინანტა: ორიენტაცია კეთილდღეობაზე და ობიექტის მაღალი ღირებულებითი სტატუსი, გააზრებისა და მდგრადობის მაღალი ხარისხი) ფაქტორებით.

ოცნება ხშირად გააზრებულია როგორც რეალური ყოფის ჰორიზონტიდან გასვლის, არსებობის ნეგატიური ასპექტების უგულვებელყოფის გზით ეგზისტენციალური ჩარჩოების გაფართოების საშუალება. ამდენად, ოცნება ხშირად ეფუძნება რეალობის ელემენტთა და მათ მოდიფიკაციათა სინთეზს: And the girl with whom almost everything in life had gone wrong came to think of Out There as the place where everything was right. It was the far country where there was no weariness nor loneliness, the land where one did not grow tired, where one never woke up in the morning too tired to get up, where no one went to bed at night too tired to go to sleep. <...> Oh, it was a land where dreams came true - a beautiful land where no one ate prunes, where the gravy was never greasy and the potatoes never burned. It was a land of flowers and birds and lovely people - a land of wealth and health and many smiles [Glaspel, 2012].

მე-სუბიექტი ისწრაფვის საკუთარი იდენტურობის მოდიფიკაციისა და წარმოსახვითი სამყაროს მენტალური პროექტირებისაკენ. ეს სწრაფვა გულისხმობს რეალობის გადალახვისა და ცხოვრებისეული სტანდარტის ამადლების მცდელობას: Everything is possible. We are all architects of fate ... Everyone carries his future in his own hands; fate has really nothing to do with it. Whatever kind of bud we are; such a flower we will be. We cannot make ourselves; all we can do is blossom. This Other Person that you see in your golden dreams is after all only you, changed from the You that you are now into the You that you hope to be. If we are little, stunted buds we cannot be big, glorious blossoms. The Future is only a great many Nows added up [Frey 2012].

ოცნების ღირებულებითი მნიშვნელობა ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ანტი-გონისტურობით, რაშიც იგულისხმობა ოცნების მიკუთვნებულობის შესაძლებლობა ადამიანის აქტივობის დაპირისპირებული - მოქმედებითი და შემეცნებითი - პოლუსებისადმი. აქედან გამომდინარე, იკვეთება ოცნების ორმაგი დენოტატიური მიმართება: ოცნების მიმართება რეალურ სამყაროსა და რეალური სამყაროს ანტიპოდთან - ირეალურ, წარმოსახვით სამყაროსთან: I did have a dream, it was my dream, and beyond the sum of any delight I ever conceived. On the strength of it I rebuilt my home and remodelled these premises [Stratton-Porter 2010].

მარტოხელა მამაკაცის ოცნება ბედნიერი ოჯახია. მიყვება რა თავის ოცნებას, მამაკაცი იწყებს საკუთარი ბინის გადაკეთებას. ოჯახის მოთხოვნებთან ადაპტირებული ბინა ოცნების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც რეალობაშია მატერიალიზებული.

ოცნებაში ვლინდება აზროვნების ერთ-ერთი ფუნდამენტალური თვისება – სამყაროს შემეცნების ჰორიზონტის მენტალური გაფართოება, რაც იძლევა ადამიანის გამოცდილების მიღმა სფეროში შეღწევის შესაძლებლობას. ოცნების ფენომენოლოგიური არსის ღირებულებითი მნიშვნელობა სინთეტურია, ვინაიდან მასში ინტეგრირებულია ფსიქიკის ემოციური მდგომარეობის ელემენტები და პიროვნების ნება. ოცნების ფენომენოლოგიური არსის ღირებულებითი მნიშვნელობის საფუძველს ქმნის ობიექტის მიმართ დადებითი ემოციები, რაც იწვევს დადებით შეფასებას.

ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში ოცნება ანთროპომორფული ბუნებისაა – მისი კონცეპტუალიზაცია ხორციელდება იმ თვისებათა პრიზმაში, რომლებიც ახასიათებს ადამიანს, როგორც ორგანიზებული ფსიქიკური აპარატისა და სოციალური ურთიერთობების მქონე ინდივიდს.

1. Dream is a bird - ფრენის მეტაფორა

იწვევს ბედნიერების, სიხარულის და სიამოვნების განცდას: The sensation was pleasant, recalling flying dreams of long ago when she was young [Anderson 2002];

2. Dream is liquid - მეტაფორა ორიენტირებულია ოცნების განცდით ასპექტზე; ოცნება ასოცირდება თხევად ნივთიერებასთან, რომელიც ავსებს ადამიანის სულიერ ცხოვრებას: He must have drifted into a dream – and an extravagant one - for he was a master of Charleroi and Adele was his wife [O. Henry 1992];

3. Dream is food - ოცნება ასოცირდება საკვებთან; მეტაფორა ორიენტირებულია ოცნების განცდით ასპექტზე: It was frightening to think how quietly, how unobtrusively, those dreams, sometimes sweet, sometimes darkly unsettling, had slipped away - as if a large part of his imagination had died painlessly and unannounced [King 2002];

4. Dream is haze - კოგნიტური მეტაფორული მოდელის საფუძველს წარმოადგენს მხედველობასთან დაკავშირებული სირთულე, სამყაროში ორიენტირების უნარის დაკარგვა: You see the word through a haze of dream and relentless music [Anderson 2002];

1. Dream is an object - ოცნება აბსტრაქციიდან გრანსფორმირდება მატერიალურ თვისებათა მქონე, მაგალითად, მსხვრევად საგნად - Dream is a brittle object: Jerry Jennings, hardly more than an English schoolboy, desperately trying to find a new dream after his old ones broke apart in the trenches [Anderson 2011: 34]; There are so many fragile things, after all. People break so easily, and so do dreams and hearts. (Neil Gaiman, *Fragile Things: Short Fictions and Wonders*)

5. Dream is a building - ოცნება მიხნეულია კონსტრუქციად, ნაგებობად: Thus was the edifice of my brief dream of happiness dashed, broken, to the ground of reality [Rice Burroughs 1992];

6. Dream is a thread - ოცნება ასოცირდება ძაფთან: After a circular and startled glance, as of a man waking up abruptly to the sense of danger, he would throw himself back, and under the downward

gaze of the old sorcerer take up, wide-eyed, the slender thread of his dream [Conrad 1992];

7. Dream is a possession - ოცნება მიხნეულია ქონებად, საკუთრებად: If there were dreams to sell, what would you buy? [Beddoes 2012];

8. Dream is a valuable thing - ოცნება ასოცირდება ღირებულ, ძვირფას საგანთან: Cherish your vision and your dreams as they are the children of your soul; the blueprints of your ultimate achievements [Hill 2011];

9. Dream is container - ძირითად მნიშვნელობას აღნიშნული კოგნიტური სტრუქტურის ფარგლებში წარმოადგენს ოცნების გააზრება შემოსახდურულ სივრცედ. ამ ტიპის ინტერპრეტაცია მკვეთრად ფიქსირდება ოცნების ყოველდღიური ცხოვრების საგნებთან შედარებისას (სახლი, სასახლე, ციხესიმაგრე, შორეული ქვეყანა, ქალაქი, ტაძარი, თავშესაფარი): The bare little farmhouse was a fixed fact, but she had many a palace into which she now and then withdrew ... Every time she retired to her citadel of dreams she came forth radiant and refreshed, as one who has seen the evening star, or heard sweet music, or smelled the rose of joy [Wiggin 2012]; ... but my dreams were all my own;/accounted for them to nobody; they were my refuge when annoyed - my dearest pleasure when free [Shelley 1992].

საკვლევ ღირებულებით მნიშვნელობაში იკვეთება ინდივიდის ინტერესი, გააფართოვოს საკუთარი ეგზისტენციალური ჩარჩო, იპოვოს ის „უკეთესი სამყარო“, რომელშიც თავს ბედნიერად იგრძნობს. ოცნება გულისხმობს წინააღმდეგობებით სავსე სამყაროში ჰარმონიისა და სრულყოფილების მუდმივ ძიებას.

მეორე მხრივ, ოცნების ჭეშმარიტი ღირებულება მდგომარეობს მის უნარში დადებით განცდებში დააკმაყოფილოს მოთხოვნები. ასრულებს რა სხვადასხვა ფსიქიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი რეგულატორის როლს, ოცნება ახდენს მსოფლადქმის ნეგატიური ასპექტების ნიველირებას, უნაზღაურებს ადამიანს სისუსტისა და უძლურების

განცდას საჭიროებებისა და მიზნების ვირტუალური რეალიზაციის გზით.

ოცნების ფენომენის „სხვისი“ პოზიციიდან ანალიზისას, „მე“ - სუბიექტს გადააქვს შეფასების ფოკუსი დადებითიდან (სასიამოვნოდან) უტილიტარულ ასპექტზე. როგორც ჩანს, სწორედ უტილიტარულ ასპექტზე კონცენტრაციის შედეგად გაჩნდა ისეთი შეფასებითი პრედიკატები, როგორიცაა: idle, foolish, silly, stupid, empty (dreams). სწორედ აღნიშნულ პრედიკატებს დაყავს ოცნება სუბიექტურ ფანტაზიამდე, გამონაგონამდე, სხვა სიტყვებით, ისეთ მოვლენებამდე, რომლებზეც არ ღირს დროისა და ემოციების ხარჯვა: Of course he dreamed of having a sword and reading and other things, but those were silly dreams and he knew it - they were just for fun dreaming. Daydreaming. He hadn't dared dream close to real things such as this, such as actually being a messenger [Goodkind 2002].

დასკვნა

ოცნების ღირებულებითი მნიშვნელობის კომპლექსური კვლევა დაეფუძნა ლინგვოკულტუროლოგიის, აქსიოლოგიის, კოგნიტოლოგიის, ფილოლოგიის, ფსიქოლოგიის პოსტულატებსა და პრინციპებს. სწორედ მეთოდოლოგიის კომპლექსურობამ უზრუნველყო ადამიანის შინაგანი სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფრაგმენტის მრავალმხრივი ანალიზისა და აღნიშნული ფრაგმენტის სემანტიკური პოტენციალის სრულად გამოვლენის შესაძლებლობა.

ოცნების ღირებულებითი მნიშვნელობა წარმოადგენს ადამიანის შინაგანი სამყაროს სემიოსფეროს განუყოფელ ფრაგმენტსა და ინგლისური ლინგვოკულტურული ტრადიციის აქსიოლოგიურ დომინანტას. ოცნება ადამიანის ყოფიერების ერთ-ერთი საფუძველთაგანია, რომლითაც დეტერმინირებუ-

ლია ადამიანის სამყაროსთან ურთიერთქმედების მნიშვნელოვანი ასპექტები.

ლიტერატურა

1. Вежбицкая А. (1999): Семантические универсалии и описание языков
2. Гегель Г. В. Ф. (1968): Эстетика. В четырех томах. Том 1.
3. Reed B. S. (2010): Intonation phrases in natural conversation
4. Lakoff J. (1980): Metaphors We Live By
5. Lakoff J. (1999): Philosophy in the flesh
6. Wierzbicka A. (1997): Understanding Cultures Through Their Key Words: English, Russian, Polish, German, Japanese

The Value of the Concept “Dream” and the Representation of the Concept in the Lexical-Semantic System and Discourse of English Language

Tatia Chiradze

University of Georgia

Department of European Languages and Philology

77a Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 598 340 608

E-mail: tatia_chiradze@yahoo.com

Abstract

In the present article we review the concept of “dream” as a complex and multifaceted realia of the human inner world. “Dream” is one of the existentially significant aspects of the functioning of the human psyche. A study of the value of the concept “dream”, its phenomenological essence, the I-subject, the analysis of the phenomenon from the position of the “other” is carried out within the anthropo-

centric paradigm

Keywords:

Universality, value contents, the concept of “dream”, I-subject, the phenomenological essence of the dream, the analysis of the dream phenomenon from the position of “someone else”.

**Ценностное значение концепта
„Мечта“ и репрезентация концепта
в лексико-семантической системе и
дискурсе английского языка**

Чирадзе Татия Паатовна

Университет Грузии

Департамент европейских языков и филологии

Ул. Костава №77а, 0175, Тбилиси, Грузия

Тел.: 598 340 608

E-mail: tatia_chiradze@yahoo.com

Резюме

В статье представлена „Мечта“, как сложная и многоаспектная реалья внутреннего мира человека. Мечта представляется, как одна из экзистенциально значительных аспектов функционирования человеческой психики. Исследование значения стоймости концепта “Мечта”, ее феноменологическая сущность, субъект – Я, анализ феномена с “чужой” позиции осуществляется в рамках антропоцентристской парадигмы .

Ключевые слова:

универсальность, ценностные содержания, “Dream”-(Мечта), субъект – Я, феноменологическая сущность мечты, анализ феномена мечты с “чужой” позиции..

აქსიოლოგიური გადახრა სემანტიკაში

თათია ჩირაძე
საქართველოს უნივერსიტეტი
ევროპული ენებისა და ფილოლოგიის
დეპარტამენტი
კოსტავას ქ. № 77ა, 0175, თბილისი,
საქართველო
ტელ: 598 340 608
E-mail: tatia_chiradze@yahoo.com

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში წარმოვადგენთ აქსიოლოგიურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც სიტყვებს აქვთ ტენდენცია აქსიოლოგიურად დატვირთულნი იყვნენ „კარგი“ ან „ცუდი“ კონოტაციებით, მათთან დაკავშირებული ადამიანური ფაქტორის ხარისხის პროპორციულად. ამ პრინციპის უკან მდომი იდეის მიხედვით, მეტაფორული გამონათქვამები უფრო მიდრეკილნი არიან აქსიოლოგიური პოლარობისკენ, ვიდრე არა მეტაფორული.

საკვანძო სიტყვები:

აქსიოლოგიური პრინციპი, არსებობის დიდი ჯაჭვის თეორია (GCB), თეორია ბუნების შესახებ (TNT), მეტაფორა, რომლის მიხედვითაც ზოგადი არის სპეციფიკური (GISM), რაოდენობის მაქსიმუმი (MQ), GCB კონცეპტი.

შესავალი

პოლონურ ლიგვისტიკაში გამოთქმულია აზრი, რომ კრუჟოვსკიმ [1989, 1990, 1997] შექმნა კოგნიტური აქსიოლოგიის ახალი სფერო, სადაც დიქტომია ან შკალა, რომელიც წარმოდგენილია თანაბრად ცუდი და კარგი მხარეებით, შეიძლება უფრო მნიშვნე-

ლოვანი იყოს, ვიდრე დიქტომია ან შკალა, რომელიც წარმოდგენილია ჭეშმარიტი და მცდარი მხარეებით. საკმაოდ საინტერესოა ის მტკიცებულებები, რომლის მიხედვითაც აქსიოლოგიური პარამეტრი როგორც ჩანს, ბევრად უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს მნიშვნელობათა ანალიზებში, ვიდრე ეს ადრე იყო წარმოდგენილი.

კრუჟოვსკი თვლის, რომ ნაწილის გამოსახულების სქემებში შეფასების არსებობისთვის, მთლიანი სახეობა ხშირად დადებითად აღიქმება, ხოლო იგივე ფაქტი აბსტრაქციის მაღალ დონეზე მიჩნეულია - კარგად. ამ თეორიის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს კრუჟოვსკის [1990: 150] აქსიოლოგიური პრინციპი, რომლის მიხედვითაც სიტყვებს აქვთ ტენდენცია აქსიოლოგიურად დატვირთულნი იყვნენ „კარგი“ ან „ცუდი“ კონოტაციებით, მათთან დაკავშირებული ადამიანური ფაქტორის ხარისხის პროპორციულად. ამ პრინციპის უკან მდომი იდეის მიხედვით, მეტაფორული გამონათქვამები უფრო მიდრეკილნი არიან აქსიოლოგიური პოლარობისკენ, ვიდრე არა მეტაფორული.

ძირითადი ნაწილი

ლაკოფი და ტერნერი გვთავაზობენ ინსტრუმენტს, სახელად „არსებობის დიდი ჯაჭვის თეორია“ (GCM) - კოგნიტური აპარატს, რომელიც შედგება ოთხი ელემენტისგან: თეორია ბუნების შესახებ (TNT), მეტაფორა, რომლის მიხედვითაც ზოგადი არის სპეციფიკური (GISM), რაოდენობის მაქსიმუმი (MQ) და არსებობის დიდი ჯაჭვის თეორია (GCB) კვალიფიცირდებიან კულტურულ მოდელებად.

პირველი ელემენტი, TNT, განიხილება, როგორც საზოგადოდ არსებული თეორია იმ საგანთა ფორმების შესახებ, რომელთა

არსიც იწვევს მათი ქცევის ან ფუნქციონირების წესს. კერძოდ მიჩნეულია, რომ მატერიებს გააჩნიათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თვისებები, როგორცაა (მაგარი), (მძიმე), (მაღალი) და ეს ფიზიკური თვისებები ასახავს პოულობენ ფიზიკურ საქციელში (მაგ. მძიმე საგნები წინააღმდეგობას უწევენ მოძრაობას). TNT წარმოადგენს ზოგად თეორიას, რომელიც ასახავს არსებათა თვისებებსა და ქცევებს შორის არსებულ ურთიერთობას.

ლაკოფისა და ტერნერის (1989) თანახმად, მეორე ელემენტი, კერძოდ, ზოგადი სპეციფიკურია (GISM), ერთგვარი მეტაფორაა, რომელიც ადგენს ერთიანი სპეციფიკური დონის სქემას განუსაზღვრელად დიდი რაოდენით არსებულ სპეციფიკური დონის პარალელურ სქემებზე;

GCM-ს შიდა სტრუქტურაში მყოფი შემდეგი ელემენტია – რაოდენობის მაქსიმუმი (MQ). ლაკოფისა და ტერნერის მიხედვით (1989) მისი როლი მდგომარეობს იმის

ყოფნა	არსებობის წესი	უმაღლესი თვისება
ღმერთი	საკუთარ თავში ყოფნა	ღვთაებრიობა
ადამიანები	სულიერი	მიზეზი / სული
ცხოველები	ცოცხალი	ინსტიქტები
მცენარეები	სასიცოცხლო	სიცოცხლე
არაორგანული საგნები	ფიზიკური	მატერიალური ნივთიერება

კრეზოვსკი [1997] ამტკიცებს, კლდე, ქვიშა, წყალი, ჰაერი მხოლოდ ნივთიერებებია და ადამიანთა მიერ დამზადებული საგნებს - გემებს, მანქანებს, მექანიზმებს გააჩნიათ ნაწილისა და მთელის ფუნქციური სტრუქტურა. თავის მხრივ, ხეებსა და სხვა მცენარეებს გააჩნიათ ნივთიერება, ფუნქციური სტრუქტურა და, გარდა ამისა, სიცოცხლე მათი დამახასიათებელი თვისებაა. მწერებს, თევზებს, ძუძუმწოვრებს და სხვა ცხოველებს, მცენარეებისათვის დამახასიათებელი თვისებების გარდა, აქვთ ინსტინქტები, რომლებიც ცხოველების ქცევაში ვლინდება.

მკაცრად შეზღუდვაში თუ რა უნდა იქნას გაგებული. MQ აუცილებელია ინფორმაციის დონის დადგენისას ჯაჭვის ერთი დონიდან მეორეზე გადასვლისას, რამდენადაც წარმოდგენილ იქნას მხოლოდ მაღალი დონის თვისებები და ზედმეტი ინფორმაცია არ იქნას გათვალისწინებული.

ბოლო და პოტენციურად ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტის თეორიული საფუძვლები არის GCB კონცეპტი, რომელიც განვითარდა ისეთი ფილოსოფოსების მიერ, როგორცაა პლატონი და არისტოტელე და უნდა აღინიშნოს, რომ GCB-ის მექანიზმები აისახება სხვადასხვა ევოლუციურ თეორიებში და ასევე ბუნებრივი ენების სემანტიკურ კვლევებში. GCB განისაზღვრება იერარქიით განპირობებული ქცევებითა და თვისებებით. GCB-ის გაფართოებული ვერსია გამოიყენება აქსიოლოგიურ სემანტიკაში, რომელიც შესაძლოა სქემატურად შემდეგნაირად იყოს წარმოდგენილი:

უმაღლესი ცხოველები ყველა ამ თვისებას ფლობენ, რომელსაც თავის მხრივ მხარს უჭერს ისეთი შინაგანი მდგომარეობები, როგორცაა სურვილები, ემოციები და გარკვეული კოგნიტური შესაძლებლობები.

ადამიანებს ყველა ზემოთ ხსენებული თვისება და დამატებით – აბსტრაქტული აზროვნების, მსჯელობის, განსჯის უნარი, ენის საშუალებით კომუნიკაცია და თვითშეგნება გააჩნიათ. ღმერთი მიჩნეულია, როგორც აბსოლუტური, ყოვლისშემძლე, ყოვლადძლიერი და სრულყოფილი არსება და თუმცაღა წარმოდგენილია ადამიანური თვალსაზრისით,

ზოგიერთ რელიგიაში მინიჭებული აქვს ის ყველა თვისება, რაც ქვედა არსებებს ახასიათებს სხვა თვისებებთან თანაფარდობით [კრეჯოვსკი 1997].

საბოლოოდ GCB-ისა და ბუნების შესახებ თეორიის ნახავი ასახვას პოულობს ყოფიერების ფორმების იერარქიულ ფოლკლორულ თეორიაში და მათი ქმედება ლაკოფისა და ტერნერის მიერ [1989: 171] შემდგენიარად არის წარმოდგენილი:

TNT + The GCB

ადამიანები: უმაღლესი რიგის თვისებები იწვევენ უმაღლესი რიგის ქცევას.

ცხოველები: ინსტინქტური თვისებები იწვევენ ინსტინქტურ ქცევას.

მცენარეები: ბიოლოგიური თვისებები იწვევენ ბიოლოგიურ ქცევას.

არაორგანული საგნები: სტრუქტურული და ბუნებრივი ფიზიკური თვისებები იწვევენ სტრუქტურულ და ბუნებრივ ფიზიკურ ქცევას.

ამრიგად, ეს ოთხი ელემენტი, ანუ TNT, GCB, GISM და MQ წარმოადგენს ე.წ. GCM-ის განმეორებად, კონცეპტუალურ კომპლექსს, რომელიც შედგება მეტაფორის, საღი აზრის თეორიისგან და კომუნიკაციური პრინციპისგან [ლაკოფი და ტერნერი 1989: 171]. GCB-ის 5 დონის აღწერით და ასევე მიმართულების დადგენის კიდევ ორი გზის წარმოდგენით, ანუ ზევით და ქვევით, შესაძლო მეტაფორათა რიცხვი, რომელიც დაკავშირებულია GCB-ისთან შეადგენს - 20-ს.

კერძოდ, ამ მეტაფორებიდან ათი მოიცავს აღმავალი მიმართულების დადგენას, რომელშიც წყარო დომენი GCB-ზე უფრო დაბალ პოზიციას იკავებს ვიდრე სამიზნე დომენი; მაგალითად, „Peter is a pig“ (დორი - ნიშნავს ფიზიკურად და / ან მორალურად ბინძურს). თავის მხრივ, დანარჩენი ათი მოიცავს დაღმავალი მიმართულების დადგენას, რომელშიც წყარო დომენი უფრო მაღალ პოზიციას იკავებს GCB-ზე, ვიდრე სამიზნე დომენი. მაგალითად, „This dog is

loyal and friendly“ (ერთგული და მეგობრული წარმოადგენს იმ თვისებებს, რომლებიც ტიპურია GCB-ის ადამიანური დონისათვის. კრეჯოვსკი [1997: 161] აყალიბებს მეტაფორათა შემდეგ სიმრავლეს:

1. GOD IS A HUMAN BEING
2. GOD IS AN ANIMAL
3. GOD IS A PLANT
4. GOD IS A THING
5. A HUMAN BEING IS AN ANIMAL
6. A HUMAN BEING IS A PLANT
7. A HUMAN BEING IS A THING
8. AN ANIMAL IS A PLANT
9. AN ANIMAL IS A THING
10. A PLANT IS A THING
11. A THING IS A PLANT
12. A THING IS AN ANIMAL
13. A THING IS A HUMAN BEING
14. A THING IS (A) GOD
15. A PLANT IS AN ANIMAL
16. A PLANT IS A HUMAN BEING
17. A PLANT IS (A) GOD
18. AN ANIMAL IS A HUMAN BEING
19. AN ANIMAL IS (A) GOD
20. A HUMAN BEING IS (A) GOD

კრეჯოვსკის მიხედვით, [1997] ყველა ზევით ჩამოთვლილი მეტაფორა თანაბრად პროდუქტიულია, ზოგიერთი მათგანის დამტკიცება რთულია ხოლო მატერიალიზაცია - შეუძლებელიც. ძირითადად ინტერესის საგანს წარმოადგენს ორი კონკრეტული მეტაფორა: „A HUMAN BEING IS AN ANIMAL“ და „AN ANIMAL IS A HUMAN BEING“. ამრიგად, მცდელობის ფონზე ნაჩვენებია, რომ თვისებები შეიძლება გადავიტანოთ GCB-ის უფრო მაღალი დონიდან ქვედაზე, მაგ. ერთგული, მეგობრული ძაღლი, ან უფრო დაბალი დონიდან მაღალზე, მაგ. „This man is a pig“ (გამოიყენებენ ზიზლით ან შეურაცხყოფელად ადამიანის მიმართ).

ლაკოფი და ტერნერი [1989: 172] აღნიშნავენ, რომ GCM არის დიდი ძაღლისა და მასშტაბის ინსტრუმენტი, რადგან: „ის საშუ-

აღებას გვაძლევს გავიგოთ ზოგადი ადამიანური თვისებები, კარგად გააზრებული არა-ადამიანური თვისებების თვალსაზრისით და პირიქით, ეს საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ცხოველებისა და საგნების ბუნების ნაკლებად გააზრებული ასპექტები ადამიანთა უკეთ გაცნობიერებული მახასიათებლების კუთხით“.

როგორც კრუჯოვსკიმ აღნიშნა [1997: 80], ადამიანებს აქვთ განსაკუთრებული ტენდენცია მიაკუთვნონ მაღალი ფასეულობები განსხვავებულ საგნებს და მიანიჭონ კონცეპტები არსებობის დიდი ჯაჭვის ქვედა დონეებს. კონცეპტუალიზაციისა და შეფასების დროს, გასაგებია ის ფაქტი, რომ ჩვენ მიდრეკილნი ვართ ადამიანური დონის მხრივ რეალობის აღქმისაკენ. ამგვარი ტიპის ტენდენციას მოიხსენიებენ ანთროპომორფიზაციის (ჰუმანიზაცია) სახელით, რომლის დროსაც ხდება პერსონიფიკაცია - GCB-ის ადამიანურ დონეზე ზევით და ქვევით მოცემულ ორგანიზმთა. კრუჯოვსკის მიხედვით, განსხვავებულ კულტურებსა და ენებში, ცხოველთათვის დამახასიათებელი სხვადასხვა თვისებები შეიძლება ხაზგასმულ იქნას და მეტაფორულად აღინიშნოს GCB-ს ადამიანურ დონეზე.

როგორც წესი, ის თვისებები, რაც ასახულია მეტაფორებში ხშირ შემთხვევებში ენობრივად სპეციფიკურია. მაგალითად, ღორებს მოპოვებული აქვთ ცუდი რეპუტაცია სიბინძურისა და ღორმუცელობის გამო. პოლონურ ენაში არსებული სიტყვა „swinstwo“- „ბინძური ოინი“ მომდინარეობს „ღორისგან“ და ეს გაგებულია, როგორც ცხოველური ინსტიქტური ქცევის (სიბინძურე) და (სიხარბე) ადამიანურ ღირებულებათა დონეზე აღნიშვნა და ადამიანის მიერ ამორალურ ქცევად აღქმა (მორალურად ბინძური). ეს მოქმედება გულისხმობს, ღირებულებათა გაფართოებას სულიერიდან ადამიანურ დონემდე, როგორც ეს კრუჯოვსკის მიერ [1997: 81] არის ფორმულირებული; იმ დონიდან, სადაც ინსტიქ-

ტური ქცევა ყველაზე თვალსაჩინოა ადამიანური დონისათვის და მორალური შეფასებები დასაბამს აძლევს ღირებულებებს.

მეორე მხრივ, იგივე ღორი, რომელიც ერთ კულტურაში სიბინძურესა და სიხარბეს განასახიერებს, ჩინელებისათვის სიძლიერის სიმბოლოდ, ხოლო გერმანელთათვის კი – იღბლის სიმბოლოდ წარმოდგება. მაგალითად, „ich habe Schwein gehabt“ გაგებულია, როგორც „მე გამიმართლა“. საინტერესოა ასევე კლეპარსკის [1997: 171] მიერ აღნიშნული თანამედროვე ჩეხური სიტყვები „žaba/žabka“ (ბაყაყი) – გამოიყენება გოგოებისა და ახალგაზრდა ქალების აღსანიშნავად, თანამედროვე პოლონურში „abka“ (ბაყაყი) - გამოიყენება ქალის მოსაფერებელ სიტყვად, მაშინ როცა რუსულ ენაში (ბაყაყი) თითქმის არასოდეს გამოიყენება ახალგაზრდა ქალებთან მიმართებით, რადგან ამ ლექსიკური კატეგორიის კონოტაციები სრულიად განსხვავებულია და დაკავშირებულია სიცივესთან და სიბინძურესთან.

თავის მხრივ უნდა ავღნიშნოთ, რომ თანამედროვე პოლონური სიტყვა „ropucha“ (გომბეშო) გამოიყენება „მოხუცი, მსუქანი და უშნო ქალის“ აღსანიშნავად. და ამ სიტყვას მსგავსი კონოტაციები აქვს თანამედროვე ინგლისური სიტყვის მიმართ, რომელიც გამოიყენება პიროვნების შეურაცხყოფელ ტერმინად.

დასკვნა

აქსიოლოგიური ფენის არსებობა, არსებობის დიდი ჯაჭვი, აქსიოლოგიური მნიშვნელობები / თვისებები / ელემენტები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ისინი არ უნდა იქნან განხილულნი კვანძებად, არამედ სიმრავლეებად უნდა იყვნენ დაჯგუფებულნი: პოზიტიურ, ნეიტრალურ ნეგატიურ სიმრავლეებად, რომლებიც ემყარებიან აქსიოლოგიურ მარკირებას. ამრიგად, GCB-ს სტრუქ-

ტურას ახასიათებს ორმხრივი მიმართულება, რაც გულისხმობს მახასიათებელთა აღმავალ და დაღმავალ აღნიშვნას. აღმავალი მიმართულების დადგენისას, წყარო დომენი GCB-ზე უფრო დაბალ პოზიციას იკავებს, ვიდრე სამიზნე დომენი; დაღმავალი მიმართულების დადგენისას – წყარო დომენი უფრო მაღალ პოზიციას იკავებს GCB-ზე, ვიდრე სამიზნე დომენი.

ლიტერატურა

1. Kalisz R. (1993): "White-black spectrum as an image schema and its axiology" [in:] E. Górska (ed.)
2. Kalisz R. and W. Kubi ski (1993): "Speech as a radial category" [in:] E. Górska (ed.)
3. Kleparski G. A. (1990): *Semantic Change in English: A Study of Evaluative Developments in the Domain of HUMANS*. Lublin: The Catholic University of Lublin Printing House
4. Krikmann A. (1994): "The Great Chain Metaphor: An open sesame for proverb semantics?" *Proverbium* 11
5. Krzeszowski T. P. (1990): "The axiological aspect of idealized cognitive models" [in:] I. Tomaszczyk and B. Lewandowska-Tomaszcyk (eds) *Meaning and Lexicography*. Amsterdam: John Benjamins
6. Krzeszowski T. P. (1997): *Angels and Devils in Hell: Elements of Axiology in Semantics*. Warszawa: Wydawnictwo Energeia
7. Lakoff G. and M. Turner (1989): *More than Cool Reason. A Field Guide to Poetic Metaphor*. Chicago: The University of Chicago Press
8. Puzynina J. (1992): *J+zyk warto ci*. Warszawa: PWN

Axiological bias in Semantics

Tatia Chiradze

University of Georgia

Department of European Languages and Philology

77a Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 598 340 608

E-mail: tatia_chiradze@yahoo.com

Abstract

In the present article we review the axiological principle that words tend to be axiologically loaded with "good" or "bad" connotations in proportion to the quality of the human factor associated with them. According to the idea behind this principle, metaphorical expressions are more prone to axiological polarity than non-metaphorical ones.

Keywords:

Axiological principle, The Theory of The Great Chain of Being, the Theory of Nature of Things (TNT), the Generic is specific metaphor (GISM), the Maxim of Quantity (MQ) and (GCB) concept.

Аксиологическая наклонность в семантике

Чирадзе Татия Паатовна

Университет Грузии

Департамент европейских языков и филологии

Ул. Костава №77а, 0175, Тбилиси, Грузия

Тел.: 598 340 608

E-mail: tatia_chiradze@yahoo.com

Резюме

В статье представили аксиологический принцип, по которой слова имеют тенденцию, аксиологически быть насыщены коннотациями хорошей или плохой, связанными с ними, пропор-

ционно степени человеческих факторов. По идее этого принципа, к аксиологической поляризации более склонны метафорические выражения, чем неметафорические.

Ключевые слова:

аксиологический принцип, теория большого сцепления (GCB), теория о природе (TNT) , метафора, по которой общая является специфической (GISM) , максимум количества (MQ), GCB концепт.

სპეციფიური მიზნობრივი ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგიის ინტეგრაცია საუნივერსიტეტო სწავლების საფეხურზე

ბელა ხაბეიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,

საქართველო

ტელ: 599 199 397

E-mail: bela.khabeishvili@tsu.ge

რეზიუმე

დიდაქტიკური თვალსაზრისით დღემდე არსებული უამრავი მიდგომის მიუხედავად, სპეციალისტები ძალისხმევას არ იშურებენ ახალი გზების აღმოჩენის მიმართულებით. უცხოური ენის სწავლების კუთხით, დღევანდელი მოთხოვნად რჩება ინდივიდუალურ საჭიროებებზე, პერსონალურ პროფესიულ მიზნებზე ორიენტირებული მეთოდოლოგია, რომელიც თითოეული ბენეფიციარის კონკრეტულ მოთხოვნაზეა ორიენტირებული. სწორედ ასეთ მიდგომად უნდა ჩაითვალოს სპეციფიური მიზნობრივი ფრანგული ენის სწავლების მეთოდი (ე.წ. F.O.S. მეთოდი), რომლის კონკრეტული ქვემეთოდი საუნივერსიტეტო მიზნობრივი ფრანგული ენის (ე. წ. F.O.S.) სწავლება - საუნივერსიტეტო სწავლების ფორმატში გაცილებით ეფექტიანად მიიჩნევა და სტუდენტების ფრანკოფონულ საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციას ისახავს მიზნად.

საკვანძო სიტყვები:

სპეციფიური მიზნობრივი ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგია (ე.წ. F.O.S. მეთოდი), საუნივერსიტეტო მიზნობრივი ფრანგული ენის (ე. წ. F.O.S.) სწავლება, დიდაქტიკა, მეთოდოლოგია, უახლესი მიდგომები, აკადემიური სწავლება.

შესავალი

სპეციფიური მიზნობრივი ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგია ფრანკოფონულ სამეცნიერო და პედაგოგიურ სივრცეში წარმოადგენს ერთგვარ ინოვაციას, რომელიც სპეციალისტებს შესანიშნავ შესასაძლებლობას აძლევს, უპასუხონ უცხოური, კერძოდ კი ფრანგული ენის სწავლების კუთხით არსებულ უახლეს გამოწვევებს.

მიუხედავად არც თუ ისე დიდი ხანდაზმულობისა, სამეცნიერო წრეებში მეთოდის ეფექტიანობაზე უკვე საუბრობენ. ე.წ. F.O.S. მეთოდს (méthodologie du français sur objectifs spécifiques (F.O.S.)) დღეს წარმატებით იყენებენ ფრანგული ენის სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე, რასაკვირველია, გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით.

ძირითადი ნაწილი

მეთოდის ალგორითმი

უპირველეს ყოვლისა, მოკლედ უნდა აღინიშნოს თვით მეთოდის არსი. სპეციფიური მიზნობრივი ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგია წარმოადგენს ფრანგული ენის სწავლების ახალ მიდგომას, რომელიც, ზოგადი ენის სწავლების მიზნებისაგან განსხვავებით, სამიზნე ჯგუფის სპეციფიურ პროფესიულ მოთხოვნაზეა ორიენტირებული და, წმინდა ლინგვისტური კომპეტენციების გადვივების პარალელურად, ითვალისწინებს ლინგვო-კულტურული, დარგობრივი, ინსტიტუციონალური და სხვა მომიჯნავე კომპეტენციების უცხოურ ენაზე განვითარებას.

მეთოდი, უპირველეს ყოვლისა, დარგის სპეციალისტებისთვის საინტერესოა მისი ფართო პედაგოგიური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რაც ენის პედაგოგებს,

მეთოდისთვის დამახასიათებელ წინაპირობათა გათვალისწინების შემდეგ, აძლევს გარკვეულ თავისუფლებას მასალის შერჩევის, შემსწავლელთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინების მხრივ. დიდაქტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე, მეთოდი მარტივად ერგება კონკრეტული ბენეფიციარების ლინგვისტურ მოთხოვნას და მიმართულია, გაითვალისწინოს ნებისმიერი ტექნიკური თუ ჰუმანიტარული დარგის, ფრანკოფონული ლინგვისტური თემატური სწავლების შესაძლებლობები. შედეგად, მეთოდის საფუძველზე შესაძლებელია შემუშავდეს ფრანგული ენის სწავლების სპეციფიურ მიზანზე ორიენტირებული პროგრამები მაგ, ეკონოკის, ტურიზმის, სამართლის, სახელოვნებო, საინჟინრო, სამედიცინო და სხვ. სპეციალობების შემსწავლელთათვის. მიდგომის უნიკალურობას ისიც წარმოადგენს, რომ, ერთი შეხედვით საკმაოდ რთული დარგობრივი კომპონენტის მიუხედავად, ის მიმართულია, გაითვალისწინოს ყველა დონის შემსწავლელთა ინტერესები, რა თქმა უნდა, შესაბამისი ლექსიკო-გრამატიკული მასალის საფუძველზე; ეს უკანასკნელი, ნაბეჭდი დოკუმენტის გარდა, საწყის ეტაპზე შეიძლება იყოს ფრანგულენოვანი ვიდეორეპორტაჟი, აუდიოჩანაწერი, ინტერვიუ, რაც შემსწავლელებს დარგის სპრეციალურ მიზანზე გაამახვილებინებს ყურადღებას და მათ ენის სათანადო კომპეტენციას განუვითარებს. ბენეფიციართა უნარები და შემოთავაზებული მასალაც შესაძლოა, ითვალისწინებდეს ფრანგული ენის სწავლებას დამწყები ნულოვანი საფეხურიდან პროფესიონალურ დონემდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ სპეციფიური მიზნობრივი ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგია პრიორიტეტულად დარგობრივ ფრანკოფონულ კომუნიკაციას ისახავს მიზნად და რაც ნაწილობრივ ასეც არის. მეთოდი, თავდაპირველად, ყველაზე აქტიუ-

რად პროფესიული სწავლების საფეხურზე გამოიყენებოდა, სადაც შემსწავლელთა სპეციფიურ მიზანს სწორედაც დარგობრივი ფრანგულენოვანი კომუნიკაციის დაუფლება წარმოადგენდა. ასე მაგ., კულინარიული სასწავლებლების სტუდენტები, რომლებიც შესაბამის პროფესიულ სასწავლებლებში ფრანგულ ენას, შემდგომში ამ დარგში პროფესიული რეალიზაციის მიზნით ირჩევენ, ამჯობინებენ არა ზოგადი ფრანგული ენის შესწავლას, არამედ თავიდანვე მათ პროფესიულ კომუნიკაციაზე ორიენტირებულ ლექსიკას. სპეციფიური მიზნობრივი ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგიის საფუძველზე კურიკულუმი მათთვის შემოთავაზებულ ლინგვო-კულტურულ კონტენტზე იგება, რაც საკმაოდ მოკლე პერიოდში ზოგადპროფესიული და წმინდა ლინგვისტური უნარების ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა.

სპეციფიური მიზნობრივი ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგიიდან (F.O.S) საუნივერსიტეტო მიზნობრივი ფრანგული ენის (F.O.U) სწავლების მეთოდოლოგიამდე

სპეციალისტები პროფესიულ სფეროში საკმაოდ ეფექტური მიდგომის საუნივერსიტეტო სწავლების საფეხურზე ინტეგრირების შესახებ აღაპარაკდნენ. გარკვეული სირთულეების მიუხედავად, სამიზნე ჯგუფების გამოვლენა და მასალის ადაპტაცია F.O.S მეთოდის ანალოგიურია და შემდეგ ძირითად საფეხურების ანალიზს ითვალისწინებს:

1. მოთხოვნა შეთავაზება;
2. საჭიროებათა განსაზღვრა;
3. მონაცემთა შეგროვება;
4. მონაცემთა დამუშავება;
5. დიდაქტიკური აქტივობების შემუშავება.

საუნივერსიტეტო სივრცეში შესაბამისი დონისთვის განსაზღვრული დიდაქტიკური აქტივობა F.O.S მეთოდის ანალოგიით ხორციელდება, თუმცა უფრო კონკრე-

ტულ მიზანს ემსახურება, რაც დარგობრივ ლინგვისტურ კომპეტენციებს უფრო ვიწრო ჭრილში განათავსებს და მეთოდსაც ერთგვარი ქვემიმართულების ფორმას სძენს. საუბარია საუნივერსიტეტო მიზნობრივი ფრანგული ენის ე. წ. F.O.U (le français sur objectif universitaire) სწავლების მეთოდოლოგიაზე, რომლის მიზანს არა პროფესიული სასწავლებლების სტუდენტების, არამედ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების უფრო მაღალ სასწავლო საფეხურზე ინტეგრაცია წარმოადგენს. ასე მაგ., კონკრეტული ჯგუფებისთვის, ფრანგული ენის სწავლება, კვლავინდებურად მათი დარგობრივი უნარების გათვალისწინებით ხორციელდება, თუმცა პროფესიული რეალიზაციის გარდა, მიზანს ფრაკოფონულ სასწავლო-აკადემიურ სივრცეში ადაპტაცია და ინტეგრაცია წარმოადგენს, რაც უფრო მაღალ საფეხურზე მაგ., საბაკალავრო ან სამაგისტრო საფეხურზე, ფრანგულენოვან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას ითვალისწინებს.

ზოგადი სამოქმედო მეთოდოლოგიური ჩარჩოს რეკომენდაციების გაანალიზების საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის კათედრამ გადაწყვიტა მეთოდის ინტეგრაცია საკუთარ საჭიროებებზე მორგების გზით. მიზანს წარმოადგენდა სპეციფიურ საჭიროებებზე მორგებული ლინგვისტური სწავლების მეთოდის დანერგვა, რომელიც გათვლილი იქნებოდა სხვადასხვა მიმართულების, მეტიც, სხვადასხვა დონის მქონე სასწავლო სეგმენტზე და შესწევდა უნარი, განვეითარებინა შესაბამისი ლინგვისტური კომპეტენციები შემდეგი მიზნების განხორციელების გზით:

– შემსწავლელთათვის შესაბამის პროფესიული სფეროში ოპერირებისთვის საჭირო ლინგვისტური კომპეტენციების გამომუშავება;

– ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სპეციფიური სასწავლო მასალის შემუშავება;

– სტუდენტებისთვის ფრანკოფონულ საუნივერსიტეტო სივრცეში ორიენტირებისთვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავება.

უპირველეს ყოვლისა მეთოდი არსებულ სასწავლო გარემოზე საკმაოდ მორგებული აღმოჩნდა, ვინაიდან სრულად ითვალისწინებდა უნივერსიტეტის სამიზნე ჯგუფის ინტერესებს. მხედველობაში გვაქვს რომანული ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო კონტიგენტი, რომელიც, უკანასკნელ წლებში უნივერსიტეტის აკადემიური მიდგომის საფუძველზე მოდიფიცირდა; შედეგად სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ თსუ-ს ნებისმიერ ფაკულტეტზე სწავლების პირობებში, ძირითად სპეციალობაზე სწავლის პარალელურად დაეუფლონ მეორად პროფესიას. საფაკულტეტო რომანული ფილოლოგიის კათედრის კურსდამთავრებულთა შორის ყოველწლიურად არიან სტუდენტები, ვისთვისაც რომანული ფილოლოგიის მიმართულება მეორადია (Minor კატეგორიამომავალში სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტები);ამ მხრივ ფაკულტეტის სასწავლო დეპარტამენტის სტატისტიკა (2010-2020) ასე გამოიყურება:

- საერთაშორისო ურთიერთობები 25%
- სახელოვნებო პროფესიები 15%
- ეკონომიკა და ბიზნესი 20 %
- სამართალი 25%
- ტურიზმი 15%

სწორედ ამ კატეგორიის კონტიგენტი შეირჩა კათედრის სპეციალისტების მხრიდან საუნივერსიტეტო მიზნობრივი ფრანგული ენის ე. წ. F.O.U. სწავლების მიმართულებით; როგორც ენის ფლობის კუთხით (ხშირია ნულოვანი დონე), ასევე პროფესიული თვალსაზრისით არაერთგვაროვანი კონტიგენტი სწორედაც საინტერესო სამიზნე ჯგუფად იქნა მიჩნეული, როგორც ახალი

მეთოდოლოგიით სწავლების, ასევე დიდაქტიკური კონტენტის შემუშავების კუთხით.

არაჰომოგენურ ჯგუფებთან მუშაობის თვალსაზრისით, საჭიროებათა წინასწარი შეფასების საფუძველზე სპეციალისტების მხრიდან ხორციელდება ბენეფიციართა სამიზნე სპეციფიურ თემატიკაზე შერჩეული მასალის სასწავლო კურსში ინტეგრაცია, რაც სწავლების პროცესში რეალიზაციის კუთხით გაცილებით ეფექტიანია. ასე მაგალითად, სამიზნე ჯგუფში ფრანგულენოვანი ზეპირი და წერიტი ლინგვისტური კომპეტენციების გამომუშავება ხორციელდება შესაბამისი დონის ლექსიკო-გრამატიკული, ლინგვო-კულტურული, დარგობრივი თემატური დიდაქტიკური მასალის საფუძველზე, რომელიც სასწავლო კონტენტად ადაპტირდება და მუშავდება კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მასალის შერჩევისა და სტრუქტურირების ეს მეთოდი საკმაოდ ეფექტიანია, როგორც უცხოური ენის სწავლების, ასევე უცხოურ ენაზე პროფესიული ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით.

ვინაიდან და რადგანაც, ჩვენს სასწავლო მიზანს სტუდენტებისთვის არა მარტო უცხოურ ენაზე პროფესიული კომუნიკაციის სწავლება, არამედ შემდგომი დონის სასწავლო სივრცეში მათი ინტეგრაცია წარმოადგენს, წერით უნარებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მოგეხსენებათ, რომ წერითი კომპეტენცია ერთ-ერთი უმთავრესია აკადემიურ სივრცეში ოპერირებისთვის, სადაც წერით დავალებებზე და საკურსო, სამაგისტრო ნაშრომების შესრულებაზე ზოგადი აქტივობის 50%-მდე მოდის. ამ შემთხვევაში ზოგადი ფრანგულის სწავლებისაგან განსხვავებული მიდგომა, რომელიც ძირითადად რომანული ფილოლოგიის პროგრამის ძირითადი მიმართულების სტუდენტებზეა გათვლილი (Major კატეგორია - მომავალში ფილოლოგები), ერთგვარ პრივილეგიას წარმოადგენს,

რაც მეორადი სპეციალობის სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, ტრადიციული ძირითადი სასწავლო კურსების პარალელურად, ახალ მეთოდოლოგიურ ფორმატში საფუძვლიანად დაეუფლონ ფრანგულ ენას, რაც მთავარია, ოთხივე ლინგვისტური კომპეტენციის აკადემიურ დონეზე დამუშავების გზით.

დასკვნა

სპეციფიური მიზნობრივი ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგიის (F.O.S) საუნივერსიტეტო სწავლების საფეხურზე ინტეგრაცია უფრო ვიწრო ინტერესებს აჩენს, რაც საუნივერსიტეტო მიზნობრივი ფრანგული ენის (F.O.U) სწავლების მეთოდოლოგიამდე დაიყვანება. ეს უკანასკნელი, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს F.O.S-ის ქვემეთოდად, სხვადასხვა პროფესიული მიზნის მქონე სტუდენტის ინტერესებზეა გათვლილი და საუნივერსიტეტო სწავლების მიმართულებით სამ ძირითად ფაქტორს ითვალისწინებს:

1. მრავალპროფილურ სპეციფიკას დისციპლინებისდა მიხედვით (მაგ., ეკონომიკა, ხელოვნება, სამართალი და ა.შ.);

2. დროის ფაქტორი: სასწავლო კურსის შემუშავება, რომელიც შემჭიდროვებულ დროში სამიზნე ჯგუფს გამოუმუშავებს ფრანკოფონულ საუნივერსიტეტო სივრცეში სწავლისა და კომუნიკაციის კომპეტენციებს;

3. ექსტრალინგვისტურ კომპეტენციებს, რომლებიც საჭიროა ფრანკოფონულ საუნივერსიტეტო სივრცეში სწავლების წარმატებით სრულყოფისათვის და ესენია:

– ინსტიტუციონალური ცოდნა - სასწავლო სისტემისა და ინსტიტუციის ფუნქციონირების შესახებ;

– კულტურული ფაქტორი - რომელიც სტუდენტს გაუადვილებს მასპინძელი ქვეყნის ცხოვრებაში ინტეგრაციას;

– ლინგვისტური მდგენელი, რომელიც

საჭიროა საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში სათანადო დონეზე ინტეგრაციისათვის.

მეთოდის ერთ-ერთ უმთავრეს უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს მზა სახელმძღვანელოს არარსებობის პირობებში სპეციალურად შერჩეული ადაპტირებული მასალის საფუძველზე სასწავლო კურსის შემუშავების შესაძლებლობა. ყოველივე ზემოაღნიშნული საუნივერსიტეტო მიზნობრივი ფრანგული ენის (F.O.U) სწავლების მოდელს ეფექტინად აქცევს, როგორც ლინგვისტური კომპეტენციების სრულყოფის თვალსაზრისით, ასევე ფრანგული ენის სწავლების კუთხით ინტერესის გაზრდისა და ტრადიციულ ფაკულტეტებზე ფრანგულ ენაზე პროფესიული მიზნების განხორციელების მოსურნე სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტების მოზიდვის თვალსაზრისით.

ლიტერატურა

1. Adam Jean-Michel (1992): Les textes Types et Prototypes. Récit, description, argumentation, explication Et Dialogue. Nathan Université
2. Bakhtine M. (1978):, Esthétique et théorie du roman. Paris. Gallimard
3. Challe O. (2004): Enseigner le français de spécialité. Paris. Economica
4. Encyclopédie en ligne Wikipedia, URL :<<http://fr.wikipedia.org/stylisme.htm>.>
5. Lehmann D. (1993): Objectifs Spécifiques en langues étrangères. Paris. Hachette
6. Mangiante J-M & Parpette C. (2004): Le français sur objectif spécifique, Paris, Hachette, 160 pages

7. Mangiante Jean-Marc (2011): et Parpette, Chantal, Le Français sur objectif universitaire, Grenoble, PUG

Integration of French for Specific Objectives (FSO) methodology in university studies

Bela Khabeishvili
Tbilisi State University
Faculty of Humanities
36 Chavchavadze av., 0179, Tbilisi
Georgia
Tel: 599 199 397
E-mail: bela.khabeishvili@tsu.ge

Abstract

French for Specific Objectives (FSO) represents a relatively new methodology that aims to acquire or to perfect the skills in French within the framework of professional activity or of different studies, at professional level as well as university studies degree. Our objective is to demonstrate the process of Integration of French for Specific Objectives (FSO) methodology in academic degree that enables learners to acquire language skills and all other disciplinary or methodological capacities necessary to continue their studies into different French universities around the world. The method, named "goal of French university" fits perfectly to Georgian reality and take place in Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Georgian linguist professionals are just introducing the new didactic approach in the academic disciplines.

Keywords:

French for Specific Objectives (FSO), "goal of French university", new didactic approach, methodology, French language studies.

Интеграция методики изучения французского языка специального назначения на университетском уровне

Хабешивили Белла Тимуровна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе 36, 0179, Тбилиси,
Грузия
Тел: 599 199 397
E-mail: bel.khabeishvili@tsu.ge

Резюме

Независимо от достижений в сфере обучения иностранных языков, разработка новых дидактических методов всегда остается среди приоритетов. Одним из таковых является метод изучения французского языка специального назначения т.н. метод (F.O.S), который прекрасно адаптируется с существующими подходами и отвечает запросам даже самой неоднородной публики. Предметом нашего изучения является одна из отраслей метод изучения французского языка специального назначения- метод изучения французского языка университетского назначения т.н. метод (F.O.U.), который подразумевает интеграцию учащихся в франкофонную университетскую среду.

Ключевые слова:

метод изучения французского языка специального назначения т.н. метод F.O.S, метод изучения французского языка университетского назначения т.н. метод F.O.U, дидактические подходы, университетская среда, академический подход.s

ავტორები

ციური ახელედიანი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი

ქეთევან გაბუნია – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

რუსუდან გოცირიძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი

რუსუდან თაბუკაშვილი – საქართველოს უნივერსიტეტი, ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნანა გუნცაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი

ბელა საბეიშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი

როლანდ შავაძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

თათია ჩირაძე – საქართველოს უნივერსიტეტი, მოწვეული ლექტორი, ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტი

ქურნალის რედკოლეგია

- მაია ჩხეიძე** – საქართველოს უნივერსიტეტის ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
- ვიოლა ფურცელაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ია ჩიქვინიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ჰანს რუდიგერ ფლუკი** – ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
- კულპაშ ბებიტოვა** – ვერაზის გუმილიოვის სახ. ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ქ. ასტანა)
- ტანია გრისჰამერი** – ფილოლოგიის მაგისტრი (DAAD)
- ქეთევან გაბუნია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
- მარია მიხაილვა** – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი
- სილვია ბოტევა** – სოფიის წმინდა კლემენტ ოპრიდელის სახელობის უნივერსიტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ტატიანა მეგრელიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ალბა გრაციანო** – იტალიის ქ. ტუშას უნივერსიტეტი, ენების ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
- ალესანდრა სპადაფორა** – იტალიის ქ. ტუშას უნივერსიტეტი, ენების ცენტრი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- გიორგი ყუფარაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- რუსუდან გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი

Редколлегия журнала

Майя Чхеидзе – Грузинский университет, руководитель департамента европейских языков и филологии, доктор филологических наук, профессор

Русудан Табукашвили – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, академический доктор филологии, профессор

Виола Пурцеладзе – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, доктор филологических наук, профессор

Ия Чиквинидзе – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, академический доктор филологии, ассоциированный профессор

Ганс Руддигер Флук – Профессор Бохумского университета, доктор филологических наук, профессор

Кульпаш Бейбитова – Профессор национального университета Евразии им. Гумилева (г. Астана), доктор филологических наук

Таня Грисхаммер – Магистр филологии (DAAD)

Кетеван Габуния – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, руководитель направления романской филологии, профессор

Мария Михайлова – Московский государственный университет им. М. Ломоносова, доктор филологических наук, профессор, академик Российской Академии Естественных Наук (РАЕН)

Сильвия Ботева – Софийский университет им. Святого Клементя Охридского, руководитель департамента романской филологии, профессор

Татьяна Мегрелишвили – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, доктор филологических наук, профессор

Альба Грациано – Университет г. Туша (Италия), директор центра языков, профессор

Алессандра Спадафора – Университет г. Туша (Италия), доктор филологии, ассоциированный профессор центра языков

Георгий Купарадзе – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, ассоциированный профессор

Русудан Гоциридзе – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, академический доктор филологии, профессор, ассоциированный член Оксфордского Университетского Общества

Scripta manent

Editorial board

Maia Chkheidze – Head of the European Languages and Philology Department of Georgian University, Doctor of Philological Science, Professor

Rusudan Tabukashvili – Georgian Technical University, the department of foreign languages, Academic Doctor of Philology, Professor

Viola Purzeladze – Tbilisis' State University, Doctor of Philological Science, Professor

Ia Chikvinidze – Georgian Technical University, the department of foreign languages, Academic Doctor of Philology, Associated Professor

Hans Rudiger Fluck – Professor of the Bokhums' University, Doctor of Philological Science

Kulpash Beibitova – Gumilev's National Eurasian University (Astana), Doctor of Philological Science, Professor

Tanya Griskhamer – Master of Philology (DAAD)

Ketevan Gabunia – Tbilisis' State University, Faculty of Humanitarian Sciences, Head of the Direction in Romanian Philology, Academic Doctor of Philology, Professor

Maria Mikhailova – Moscow's State University, doctor of Philological Science, the academician of Russian Academy on the Nature Study (RANS)

Sylvia Boteva – Sofia's University of Holy Klement Okhridsky, the leader of the romanian philology department, professor

Tatiana Megrelishvili – Georgian Technical University, Department of foreign languages, Doctor of Philological Science, Professor

Alba Graziano – University of Tuscia, Italy, Language Center Director, Professor

Alessandra Spadafora – University of Tuscia, Italy, Language Center, Doctor of Philology, Associated Professor

Georgi Kuparadze – Tbilisis' State University, Faculty of Humanitarian Sciences, Academic Doctor of Philology, Associated Professor

Rusudan Gotsiridze – Georgian Technical University, the department of foreign languages, Academic Doctor of Philology, professor, the associate member of Oxford's University Society